# საერთო გაზეთი

№9 (420) • 15 მარტი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## ბათუმის მოვლენების გამო, თუ ნაცბანდა საკადრისად არ დაისჯება, მათ წინააღმდეგ დაიწყება „ბახტრიონის“ ტიპის აჯანყება, რომელსაც ვერაფერი შეაჩერებს!





**ვინ სკანდირებდა, ბათუმში, მიტინგზე, ამ შემაძრწუნებელ ფრაზას: – საქართველოს რა? – დედის ..........!**

**იცით, რატომ მოხდა ეს საშინელება ბათუმში? იმიტომ რომ, აჭარაში თითქმის ყველა თანამდებობაზე ნაციონალები არიან...**



**დენიზა სუმბაძე:**

**„ქართული იდეა“ და მისი ავტორი ლევან ჩაჩუა ინფორმაციული „ციანიდით“ მოწამლეს?**

ლევან ჩაჩუას აზრით, ბაგრატოვანი წმინდა მეფე-დედოფლები ტომით ებრაელები არიან

**ნანა კაკაბაძე:**

„რუსთავი2“-ის საქმის სტრასბურგში გადატანა „ნაციონალების“ შენარჩუნებას ემსახურება. დღეს თუ სადმე არსებობს „ნაცმოძრაობა“, არსებობს სწორედ „რუსთავი2“-ში



**მეუფე პეტრეს ვნებანი**



„თუ ჩვენი ეპარქიიდან არ გადაიყვანენ მეუფე პეტრეს, ხალხი ამას არ მოითმენს“.

ჩავწეროთ კონსტიტუციაში, რომ მარგველაშვილს საქართველოს მუდმივ პრეზიდენტად ვირჩევთ ...



ნაციონალების მიერ დატოვებული სამსაფეხურიანი ტარიფი - კორუფციის წყარო

# „რუსთავი2“-ის საქმის სტრასბურგში გადატანა „ნაციონალების“ შენარჩუნებას ემსახურება. დღეს თუ სადმე არსებობს „ნაცმოძრაობა“, არსებობს სწორედ „რუსთავი2“-ში

***გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტ.პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:***

**— ქალბატონო ნანა, თქვენი არასამთავრობო ორგანიზაცია ერთადერთია, რომელმაც პარლამენტს „ნაც-მოძრაობის“ 9-წლიანი რეჟიმის გასამართლება, შეფასება მოსთხოვა და 11018 ხელმოწერაც გაუგზავნა. დღევანდელი გადმოსახედიდან როგორ შეაფასებთ მოვლენებს?**

— მოდით, საუბარი იმით დავიწყოთ, რას წარმოადგენს „ნაციონალური მოძრაობა“. ეს კრიმინალური დაჯგუფება საზოგადოებისთვის გიგა ბოკერიასთან, მიშა სააკაშვილთან, გიგი უგულავასთან, ნიკა მელიასთან და ა.შ. არის გაიგივებული. თუმცა, „ნაცმოძრაობის“ სახეების უკან დგას ძალა, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი წარმმართველია და რომელსაც პირობითად, შეიძლება ულტრა-ლიბერალები ვუწოდოთ, საზოგადოება მათ ლიბერასტებს ეძახის. ისინი, ვითომ, ლიბერალურ ღირებულებებზე აპელირებენ. სინამდვილეში, ეს არის ყველაზე აგრესიული ძალა, რომელიც ლიბერალიზმისგან ძალიან შორსაა. ეს ულტრა-ლიბერალები, რეაქციონერები, რევოლუციონერები, ხელისუფლებების გადამტრიალებლები არიან. სწორედ მათი წარმომადგენლები არიან „ნაცმოძრაობის“ სახეები. მათი დიდი ნაწილი ულტრა-ლიბერალურ ძალასთან უშუალო კონტაქტშია. ამ ძალას „ქართულმა ოცნებამ“ ვერაფერი დაუპირისპირა. ამის მიზეზი ისიცაა, რომ „ქართულმა ოცნებამ“, ამ მიმართულებით, არასწორი პოლიტიკა აწარმოა, მან ამ ბინძურ, მიუღებელ ძალას სიმართლე არ დაუპირისპირა და პირიქით, შემგუებლური, კოაბიტაციური გზა აირჩია. კოაბიტაციის უკან იდგა შემდეგი: აპატიეთ დამნაშავეებს, კრიმინალებს, არ გაასამართლოთ დამნაშავე, არ დაითხოვო ისინი თანამდებობიდან, არამედ შეინარჩუნე — ასეთი იყო დირექტივები, რომელიც ზოგიერთი საელჩოდანაც მოდიოდა, „ქართულ ოცნებაზე“ დიქტატს პირდაპირ აწარმოებდნენ, რათა „ნაცმოძრაობის“ გასამართლება არ მომხდარიყო. უფრო მეტიც, არ მომხდარიყო მათი მხილება. აქედან გამომდინარე, „ნაცმოძრაობის“ რამოდენიმე წევრი — უგულავა, მერაბიშვილი, ახალაია სასაცილო საქმეებით დაიჭირეს იმიტომ, რომ სწორედ ეს დასავლური, ულტრა-ლიბერალური ძალა თანახმა არ იყო, ის დანაშაულობები, რასაც ნაცმოძრაობა 9 წლის მანძილზე ეწეოდა, რეალურად გამომჟღავნებულიყო. უფრო მეტიც, ამ რეჟიმამდეც, შევარდნაძის მმართველობის ბოლო პერიოდში ძალაუფლება მთლიანად ამ ლიბერასტულ ძალას ჰქონდა ხელში აღებული, რომელთაც თავის თავს რეფორმატორები უწოდეს. ეს იყო სააკაშვილი და მისი გუნდი. ვითომ რეფორმატორებმა შევარდნაძეს ყველანაირი ბერკეტი წაართვეს და ყველა ის უბედურება რაც ქვეყანაში ხდებოდა, რეალურად, ან მათი პროვოცირებული იყო ან მათივე პოლიტიკის შედეგი — ჯერ ქვეყანას ანგრევდნენ და ამას შევარდნაძესთან აიგივებდნენ, მერე, ამ დანგრეულს აკრიტიკებდნენ და ხელისუფლებაში მოსვლის ფონს ქმნიდნენ. მიუხედავად ამისა, ქართულმა საზოგადოებამ დაინახა, რომ ისინი ცბიერი ძალა იყვნენ, შედეგად, 2003 წლის არჩევნებზე „ნაცმოძრაობას“ მხარი არ დაუჭირეს. ამ უკანასკნელმა სრული ძალაუფლება ხელში გადატრიალების გზით აიღო. თქვენ თქვით და მეც მინდა დაგეთანხმოთ, რომ ჩვენ ერთადერთი არასამთავრობო ორგანიზაცია ვიყავით,სხვას ვერ ვიხსენებ, რომელიც ღიად ამბობდა — 2003 წლის გადატრიალება ქვეყანას უბედურების მეტს არაფერს მოუტანს. მაშინ, არცერთმა ორგანიზაციამ მხარი არ დაგვიჭირა, გამოვიყურებოდით როგორც კონტექსტიდან ამოვარდნილები, მაგრამ ძალიან მალევე 2004 წლის დასაწყისში „ნაცმოძრაობამ“, სულხან მოლაშვილის წამების ფაქტის სახით, თავისი სახე გამოამჟღავნა. შემდეგ, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა ციხეებში წამების შესახებ. მაგრამ რამდენად ადეკვატური რეაგირება მოხდა ამ ფაქტზე? ტერი დევისს — ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს პირდაპირ ხელში გადავეცით 450-მდე წამების ფაქტი, ასევე, ამერიკის საელჩოს, ევროკავშირს. მაგრამ, სამწუხაროდ, რეაგირება ნულის ტოლი იყო.

**— როგორც მახსოვს, ამ საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს მიმართეთ. რამდენად სწრაფად მოხდა რეაგირება? ვხედავთ, რომ „რუსთავი2“-ის შემთხვევაში სასამართლოს სამივე ინსტანციის განჩინება ერთ საათში შეაჩერეს.**

— მოდით, „რუსთავი2“-ის საქმე სულხან მოლაშვილისას შევადაროთ. სად ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა, წამება და სად კერძო საკუთრებაზე დავა, თუნდაც, სიტყვის თავისუფლების ხელყოფა. უმთავრესი — სიცოცხლის უფლება. სიცოცხლის უფლების დარღვევით სტრასბურგის სასამართლოს რომ მივმართეთ, რეაგირება შვიდი წლის მერე მოხდა, ხოლო „რუსთავი2“-ის შემთხვევაში — პირველივე დღეს. ანუ, ცხადზე ცხადია, რომ ამ ყველაფრის უკან ულტრა-ლიბერალური ძალები დგანან და სულაც არ ეუხერხულებათ, რომ წამებისა და ღირსების შემლახავ მოპყრობაზე რეაგირება წლების შემდეგ ხდებოდა, ხოლო პოლიტიკური ინტერესების შემთხვევაში რეაგირება მყისიერია. სამწუხაროდ, ასეთი რეალობა გვაქვს. კი, სტრასბურგი კარგ გადაწყვეტილებებსაც იღებდა, მაგრამ ეს, ხშირად, დაგვიანებული იყო და აზრს კარგავდა. თუნდაც, გირგვლიანის, მოლაშვილის საქმეს მათი გადაწყვეტილებები არაფერში წაადგა — გირგვლიანის შემთხვევაში იგი უკვე მოკლული იყო, მოლაშვილი კი 2004 წელს აწამეს და გადაწყვეტილება 2011 წელს იქნა მიღებული, როცა ევროსასამართლომ ასეთი გაუთვლელი გადაწყვეტილება მიიღო. ვინც საქართველოში სამართალში ერკვევა, მათთვის ეს ძალიან ცუდი პრეცედენტია. ეს არ ემყარება სამართლიანობას, კანონის უზენაესობას, არამედ პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. აქვე, ერთი რამეც უნდა გავაცნობიეროთ: ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ის ბინძური ძალა მუშაობს, რომელსაც დღეს, აშშ-ს პრეზიდენტი ტრამპი ღიად უპირისპირდება. მისთვისაც კი ძალიან ძნელია ამ ასწლეულობით გაბატონებულ ძალას მოერიოს. ამერიკელმა ხალხმაც კი გააცნობიერა, რომ ულტრა-ლიბერალების მმართველობამ მათ ქვეყანას დიდი ზიანი მიაყენა. წარმოიდგინეთ, რამხელა ზიანის მიყენება შეუძლია ამ პოლიტიკას საქართველოსთვის. ჩვენ ეს ზიანი მივიღეთ. თუ ამერიკაში ვიღაც ცდილობს ეს მდგომარეობა გამოასწოროს და ქვეყანა ფეხზე დააყენოს, საქართველოში, ასეთი ძალა, არ არსებობს. ჩვენ ყოველდღიურად ვხედავთ ულტრა-ლიბერალების გავლენის პრიმატს ყველა დანარჩენ პოლიტიკაზე, რაც ქართული სახელმწიფოებრიობისთვის მძიმე შედეგის მომტანია.

**— ევროსასამართლომ ქართული სასამართლოს სამი ინსტანციის განჩინება არაფრად ჩააგდო. რა საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ევროსასამართლო და რა მიზანს ემსახურებოდა „რუსთავი2“-ის საქმის სტრასბურგში გადატანა?**

— დიახ. ჯერ ერთი რამხელა დარტყმა მიადგა ქართულ სასამართლოს, მის იმიჯს, რომელმაც ეს-ესაა ფეხი აიდგა და წელში გაიმართა, ძლივს გამოვიდა 0,001% გამამართლებელი გადაწყვეტილებებიდან, დღეს 20-30%-ია გამამართლებელი განაჩენები. ძლივს დამოუკიდებელი გახდა და უცებ, ჩაქუჩის ურტყამ და მის იმიჯს ანგრევ.

მთავარი პრობლემა ისაა, რომ დღეს არ არსებობს ძალა, ვინც შეეცდება, საქართველო ამ მდგომარეობიდან გამოიყვანოს. რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, „რუსთავი2“-ის საქმის სტრასბურგში გადატანა „ნაციონალების“ შენარჩუნებას ემსახურება. დღეს, თუ სადმე არსებობს „ნაცმოძრაობა“, არსებობს სწორედ „რუსთავი2“-ში. „რუსთავი2“ არის „ნაციონალური მოძრაობა“, სხვა იგი აღარაფერში აღარ არსებობს.

**— გამოდის, რომ ეს „რუსთავი-2“-ის კი არა, „ნაცმოძრაობის“ ბრძოლაა საქართველოს წინააღმდეგ?**

— დიახ, რა თქმა უნდა, ასეა. მაგრამ თავის წილი პასუხისმგებლობა „ქართულ ოცნებასაც“ აქვს. „ქართული ოცნების“ უხერხემლო, არასწორი პოლიტიკა სწორედ ამის შედეგია. ქართველ ხალხს ისინი მონობისთვის არ აურჩევია. ხელისუფლებაში მონები არ გვჭირდება, მათ დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება უნდა შეძლონ და თუ არ შეუძლიათ, მაშინ ქართველ ხალხს უთხრან — დამოუკიდებელ პოლიტიკას ვერ ვატარებთ, იძულებულნი ვართ გავლენების ქვეშ ვიყოთო. თუ არადა გვეცოდინება რომ მონები ვართ და აღარც ევროსასამართლო გვენდომება და აღარაფერი.





„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# თუ ნაცბანდა არ დაისჯება, მათ წინააღმდეგ დაიწყება „ბახტრიონის“ ტიპის აჯანყება, რომელსაც ვერაფერი შეაჩერებს!

## ნიურნბერგის სასამართლო სჯიდა ფაშისტებს, სტრასბურგი — იცავს!



რა ფაშიზმი და ვანდალიზმი იყო ის, რაც ბათუმში მოხდა: სრულიად ანომალური, ბუნებით, თავისი არსით ანტიქართული მოვლენა.

რა მოხდა?! რა დაემართა ამ ხალხს?! მართლა ბათუმელები იყვნენ საკუთარ ქალაქს რომ ანგრევდნენ და წვავდნენ თუ ვინმე სხვა?! საიდან ასეთი დაუნდობლობა და ბოროტი ენერგია?..

მე რომელიღაც პლანეტიდან „ჩამომსხდარი“ „ამოები“ მეგონენ ნიღბებით და უცნაური „არბალეტებით“, „ახალი“ „ქვასატყორცნებით“ და „აგურსატყორცნებით“, ნავთით და ცეცხლით...

სხვა ქართული რომ არ იციან და მხოლოდ უზნეო და უხამსი სიტყვებით და შორისდებულებით მიმართავენ საზოგადოებას და სახელმწიფოს!

* * *

რა იყო ეს?! რა ვანდალიზმი, რა ტერორიზმი?!

საიდან მოვიდა (გაჩნდა) ჩვენთან, ჩვენს ხალხში ეს დაუნდობლობა, ეს მრისხანება, ანუ ბოროტებად ქცეული უგნურება (თუ ველურობა).

საიდან ისწავლეს ქართველებმა მოქმედების და ქცევის ასეთი წესები?! თალიბანისგან?! — საკუთარი კულტურა და ისტორია რომ ააფეთქეს, ბუდისტური ტაძრები და ქანდაკებები ძირფესვიანად რომ ამოთხარეს?!

თუ ჰიქსოსებისგან ისწავლეს: ეგვიპტის ცივილიზაცია რომ გაანადგურეს, ჯერ კიდევ XIV ს.-ში ჩვენს ერამდე?!

ნუთუ ბათუმელებმა თალიბებს და ჰიქსოსებს მიბაძეს?..

მაგრამ არა მგონია, ასე იყოს: მათ შორს წასვლა არ დასჭირდებოდათ: ჩვენ აქ გვყავდნენ და გვყავან ჩვენი თალიბები და ჰიქსოსები, ჩვენი ლიბერასტი ნაცისტები!! ეს უფრო სააკაშვილის ველურ-ვანდალური ჯიშის და სისხლის გამოვლენა იყო, მისი დანატოვარი კლონების და ჰიბრიდების ხელის ანაბეჭდი — ტაძრებს და მონუმენტებს რომ ანგრევდნენ საკუთარ ქვეყანაში...

დავით აღმაშენებლის და ილიას ძეგლები რომ გაჰქონდათ დედაქალაქიდან და უკუღმა რომ დგამდნენ... „კრაზებით“ რომ შეანგრიეს გლდანის ეკლესია, დაამხეს ფერიის მთაზე ეკლესიის საძირკველი, რაკეტებით ააფეთქეს სვანეთის კოშკები...

მთელი ქვეყანა მორგებად და საპყრობილეებად აქციეს, ადამიანები, ყელზე თოკგამობმული ზღვაში გადაყარეს...

ახლაც თანამამრავლებად დაშლილი ნაციონალური სექტა, სააკაშვილის გამონაყოფი მელიები, რურუები, წიკლაურები, გვარამიები, ვინმე ფაშისტი ბიბილაშვილი (ნამდვილი ცილისმწამებელი თალიბანი — წყალი რომ ადიდდება გუდამაყარში, იმასაც რომ ივანიშვილს მიაწერს!) — ისეთივე მორალით მოქმედებენ: აჯანყდი სახელმწიფოს წინააღმდეგ, მოკალი, დაანგრიე, წაართვი, დაწვი, გააუპატიურე!

თუ მე არ ვიქნები, ამ ხელისუფალი ქვეყანაში ქვა ქვაზე ნუ დარჩება!

სწორედ მათი მორალის გამოვლინება, მათი ხელწერაა ის, რაც ახლა აჭარაში ხდება. ამ ვანდალების ხელი და „სული“



ეტყობა ცდუნებული ბათუმელების მოქმედებას...

ამიტომაც უცხადებებ სოლიდარობას მელიები, რურუები, წიკლაურები, ბიბილაშვილები ამ ვანდალურ „ამბოხს“.

* * *

მართლაცდა, რა ხდება ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს ერში?!

შოთა რუსთაველის და ვაჟაფშაველას სამშობლოში, იმ მიწაზე, ქრისტეს კვართს რომ ინახავს?!

გეტყვით მე, თქვენი მონა-მორჩილი, რომ გაცოცხლდა სატანის სული ჩვენს ერში, ამუშავდა „დაუსჯელობის სინდრომი“, იბარტყეს ურჩხულის ტვინიდან ამომძვრალმა მატლებმა და ბოროტ „მოირებად“ იქცნენ.

გაძლიერდა ბოროტი ენერგია და სატანის სული, რომელმაც ჩვენს პატრიარქს და ეკლესიასაც შეუტია...

გამოისხა „ხემ“ კოაბიტაციის შხამიანი ნაყოფი, რომელსაც ჩვენ ვითვლით და ვიმკით...

აი, სულ ეს არის მიზეზი იმისა, რაც ხდება და მოხდება კიდევ ჩვენს სამშობლოში, რომელიც კიდევ ერთხელ და მერამდენედ დაანგრევს ჩვენი ქვეყნისთვის (და ერისთვის) საარსებო მშვიდობას...

სამწუხაროდ, არ შეისმინა „ქართულმა ოცნებამ“ არც ერის და ბერის რჩევა და მოთხოვნა, რომ აეკრძალა ფაშისტური პარტია, მოეკვეთა ბოროტების ფესვები... ეს არ ქნა და ახლა დადგა ჟამი, „მწარე სამკელის“ და ბოროტის შემობრუნების! დიახ, თუ არ დასჯი ბოროტებას, ის დაგსჯის შენ! ის მოგიწყობს „ვენდეტას“... და კიდევაც დაიწყო ეს პროცესი!..

* * *

არ მიიღო ჩვენმა პარლამენტმა კანონი ცილისწამების, სიცრუის, დემაგოგიის, სახელმწიფოს ძირგამომთხრელი პროპაგანდის წინააღმდეგ! და აი, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უზნეო ქცევის დაუსჯელობის შედეგი არის ის, რასაც ვიმკით და კიდევ მოვიმკით! — ჩვენ ჩვენი ხელით ვიკეთებთ ხარაკირს!

დაუსჯელი სიტყვის ძალადობა და თავისუფალი, უზნეო ქცევის მაგალითები დაანგრევს ჩვენს ჯერ კიდევ ნახევრადშობილ სახელმწიფოს, ხელისუფლებას მთლიანად „გაეშვება ხელი“ სადავეებიდან!

თუ სახელმწიფო ამ ვანდალური ძალადობის მერე კიდევ ვერ მოვა გონს და არ მიიღებს რადიკალურ (არაორდინარულ) ზომებს, თუ პარლამენტი არა და ვერ მიიღებს რთული ვითარების შესატყვის კანონებს, თუ ვერ გაბედავს ვერაფერს და მსოფლიოს (და ქვეყნის მტრებს) არ აღუკვეთავს იმის შეგრძნებას, რომ ეს ხელისუფლება უსუსური და ხელწამოსაკრავია — მართლაც ხელწამოსაკრავი იქნება! მონა-მორჩილი იქნება მასონი-ლიბერასტი მსოფლიოს ყველა ელჩის და კონსულის. საკუთარი ქვეყნის და ხალხის ხარჭად დამსმელი ევრო-ატლანტურ „ბირჟაზე“ (თუ გზაჯვარედინზე).

იმასაც ვიტყვი: ნიურნბერგის სასამართლო სჯიდა ფაშისტებს, სტრასბურგი — იცავს!

ეს „პარადოქსია“, რასაც არ უნდა დავემორჩილოთ.

ქართველი ერისთვის ასეთი „სტატუს-ქვო“ მიუღებელია და ამას დიდხანს არ მოითმენს! „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ დაიწყება „ბახტრიონის“ ტიპის მრისხანე აჯანყება, რომელსაც ვერაფერი შეაჩერებს... და ეს იქნება „ქართული ვენდეტა“ XXI საუკუნეში...

**კობა არაბული,**
მწერალი, ეთნოლოგი



---

←

მაშინ რა საჭიროა ამდენი გაწევრიანება ევროსტრუქტურებში, ვიზა-ლიბერალიზაცია და ა.შ. ანდა, რა არის გასაკვირი ვიზა-ლიბერალიზაციაში? საბჭოთა კავშირის დროს საბჭოთა მოქალაქე ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში თავისუფლად გადაადგილდებოდა. თუ ევროსაბჭოს წევრი ვარ, რატომ არ უნდა გადავაადგილდებოდე ევროსაბჭოს წევრ ქვეყანაში უვიზოდ?!

**— ისევ, ევროსასამართლოს თემას დავუბრუნდეთ. ნაცვლად იმისა, რომ ქართველი ხალხის საჩივრის საფუძველზე ეს რეჟიმი და მისი ხელისშემწყობნი გასამართლებულიყვნენ, პირიქით მოხდა.**

— იცით რა, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით თინა ხიდაშელს ვუსმენდი. მან აღნიშნა, ევროსასამართლოს მასალები დროულად უნდა მიაწოდო, „იმედის“ საქმეზე რეაგირება იმიტომ არ მოხდა, რომ მიმართვა დროული არ იყოო. შე დალოცვილო, ამერიკის და ევროკავშირის ელჩები 15 წუთში თუ არ გამოაცხობდნენ წერილს, რომელთა წერილებიც ახლა „რუსთავი2“-მა გააგზავნა, რა უნდა ექნათ „იმედის“ ჟურნალისტებს? მაშინ, გაკეთდა ასეთი რეაგირება, გაიგზავნა წერილები ევროსასამართლოში? საერთოდ, იგნორირება გააკეთეს ამ თემაზე, თანაც, საქმე ჟურნალისტების ცემას ეხებოდა. დღეს, უბრალოდ, მფლობელი იცვლება. ეს უსამართლობა რაღაცნაირად სამართლებრივ ჩარჩოებში ექცევა. ამჯერად, უსწრაფესი რეაგირება მოახდინეს, ხოლო „იმედი“ რომ დალეწეს, ჟურნალისტებს ავტომატის კონდახები ურტყეს, მაშინ რატომ არ გააგზავნეს წერილები?!

**— ჩვენი უმოქმედობით, ჩვენს მეგობარ, პარტნიორ ამერიკას ხომ არ ვუპირისპირდებით?**

— ვერ გავიგე, ესენი ვისი მეგობრები არიან, მგონი მხოლოდ ლიბერასტების და სხვა არავისი. სადაც ლიბერასტები იქნებიან, იქ, იქნება ჩვენი ხელისუფლებაც, სამწუხაროდ, ასე ვხედავ. პრემიერ-მინისტრი პირველივე ჯერზე სულ ოც არასამთავრობო ორგანიზაციას შეხვდა და აქედან, ერთი — „სოროსის ფონდი“ იყო. რა კავშირშია სოროსის ფონდი? ახლახან, ომბუცმენის თემაზე რაღაც შეხვედრა მოაწყო და ისევ „სოროსის ფონდი“ ეჯდა. ანუ, იცის, რომ აშშ-ს პრეზიდენტი ამ ფონდთან დაპირისპირებულია და მაინც ამ პოლიტიკას ატარებს. ხელისუფლება სადღაც ჩარჩა და ვეღარ ხვდება, რომ დღეს, ქვეყანას შანსი მიეცა ამ მარწუხებიდან გამოვიდეს. შე დალოცვილო, ის პოლიტიკა გაატარე, რასაც შენი პარტნიორი ქვეყანა ატარებს და დააყენე ქვეყანა ფეხზე. ტრამპმა თქვა: დროა, ამერიკამ ძველი დიდება დაიბრუნოსო. ამერიკას სჭირდება ძველი დიდების დაბრუნება და შენ ქვეყანას არ სჭირდება?! უფრო სწორად, გადარჩენა არ სჭირდება?! ამ დროს „სოროსის“ კარნახით სხდომას აწყობ, ეს ხომ სამარცხვინოა.

**— ანუ, სააკაშვილის რეჟიმი ჯერ არ დასრულებულა?**

— სად დასრულებულა, რანაირად დასრულებულა?! სანამ ტრამპი არ დაასრულებს ამ პოლიტიკას, მანამდე ეს არ დასრულდება. მაგრამ საქართველო ამას როდის გაიგებს და ეს ჩვენს პოლიტიკას როდის შეეხება, არ ვიცი. ესენი ჭურში არიან, თუ სად არიან, ძნელი სათქმელია.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# იცით, რატომ მოხდა ეს საშინელება ბათუმში? იმიტომ რომ, აჭარაში თითქმის ყველა თანამდებობაზე ნაციონალები არიან...

***გვესაუბრება უშიშროების პოლკოვნიკი, სამართალმცოდნე, ბატონი რეზო რომანაძე***

**— ბატონო რეზო, რას ფიქრობთ, წინასწარ ხომ არ იყო დაგეგმილი ის საშინელი პროვოკაცია, რაც შაბათს ბათუმში მოხდა?**

— მე ნაწილობრივ ვიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ ყველაფერი შეიძლება ნაციონალების დაგეგმილი ყოფილიყო, მაგრამ, არის კიდევ ერთი მაგრამ. ამ არეულობის მზადება ჩვენს სპეცსამსახურებს არ უნდა გამოჰპარვოდათ.

იმ მომენტში ჩამოვედი სოფლიდან და პირდაპირ შევეფეთე არეულობას. მომიტინგეებში თვალი მოვკარი ისეთ ხალხს, რომ მაშინვე მივხვდი, ამ ამბავს კარგი არაფერი მოჰყვებოდა. „ნაცმოძრაობის" მხარდამჭერი ორი-სამი ისეთი ადამიანი ტრიალებდა იქ, პროვოკაციის მომწყობები იყვნენ ნამდვილად.

საშინელებაა რაც მოხდა და მიზეზიც ვიცი, რატომაც მოხდა ყველაფერი, რატომაც „გამოეპარათ" პროვოკაციისთვის მზადება.

**— რატომ?**

— საქმე ის გახლავთ, რომ აჭარაში ყველა სტრუქტურაში, დაახლოებით, 50%-მდე „ნაცმოძრაობის" წარმომადგენლები ან მათი მხარდამჭერები არიან თანამდებობებზე. პროკურატურა, უშიშროება, შს სამინისტრო, ფინანსური სტრუქტურები სავსეა ნაციონალებით.

აქციის მონაწილეებმა დააფიქსირეს თავიანთი პროტესტი და წავიდნენ. მერე დაიწყო ყველაფერი. თავიდან ვინც შეიკრიბა, იმათ არ ჰქონდათ „მოლოტოვის კოქტეილები". არც მანქანების ლეწვა-მტვრევა მოუვიდოდა ვინმეს თავში აზრად, ამას არავინ აპირებდა თავიდან. მერე მოვიდნენ პროვოკატორები. მერე გამოჩნდა „კოქტეილები", მერე დაიწყო ქვაფენილების აყრა, ავტომანქანების დაწვა და განადგურება, ველურებივით ყიჟინი. აჭარაში ნაციონალებს „ბუდეები„ აქვთ. თავის დროზე სააკაშვილი საფაშოს იქმნიდა ჩვენთან. უნდოდა აჭარა საქართველოსგან მოეწყვიტა და აქ ფაშასავით დამჯდარიყო, თურქებსაც ჩაეხუტებოდა და საჯირითო ადგილად აქცევდნენ აქაურობას. ამას გადავრჩით დროებით, მაგრამ თუ ყურადღებას არ მოგვაქცევენ, არ ვიცი, რა შეიძლება, აწი, მოხდეს.

**— გამოსავალი გეცოდინებათ.**

— 25 წელზე მეტია, დავდივართ მოჯადოებულ წრეზე სიკეთის ძებნაში და გამოსავალს ველარ ვპოულობთ. უკეთესობის იმედით მოგვყავს მთავრობები, შედეგები კი სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. აღმოსავლეთში იტყვიან „რაც არ უნდა იძახო ხალვა, პირში სიტკბოს გემოს ვერ იგრძნობო".

რა თქმა უნდა, ბევრი დრო არის დაკარგული. იქნებ მოვიდა ის დრო, რომ ახლა მაინც ვიმოქმედოთ მხოლოდ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე

ჩემი აზრით, აფხაზეთის დაბრუნების გასაღები აჭარაში დევს და იგი არცთუ ძნელი მისაგნებია. ვიდრე აფხაზები არ იხილავენ აჭარაში ჭეშმარიტი ავტონომიის



ნიშნებს, დიალოგი მათთან შეუძლებელი იქნება. ამიტომ ვფიქრობ, დღეს მომუშავე პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ეს მდგომარეობა. მიუხედავად არსებული რეალობისა და წინააღმდეგობებისა, მისაღები ფორმით, პერსპექტივის გათვალისწინებით, პროექტში უნდა ჩაიწეროს ფორმულირება აფხაზეთთან მომავალი ურთიერთობის. ვერც ნატო და ვერც მესამე ქვეყნები ჩვენს გასაკეთებელ საქმეს არ იტვირთებენ.

ასეთ შორსმიმავალ მიზნებს ნამდვილად ხელს არ უწყობს 2012 წელს, თურქეთში მიუმინ ვილდისცპს-ის ავტორობით საზოგადოება „GEORGIAN FRIENOSHIP ASSOCIATION"-ს მიერ გამოქვეყნებული, საკმაოდ კვალიფიციურად დამზადებული, ილუსტრაციებით გაფორმებული წიგნი სახელწოდებით — „საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო მასალებში". სადაც მნიშვნელოვნად დამახინჯებულია თურქეთ-საქართველოსთან არსებული ისტორიული ფაქტები. აფხაზები კი გამოყვანილია, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხის ამაწიოკებელი და დამყაჩაღებელი ხალხი. ეს და სხვა მრავალი ისტორიულად დამახინჯებული ფაქტები თავმოყრილი ამ გამომცემაში, რომელიც მიზანმიმართულად ვრცელდება მოსახლეობაში და მიზნად ისახავს აზროვნებაში ცვლილებების შეტანას, რაც საშიშროებას წარმოადგენს ეროვნული თვითყოფადობისათვის.

**— ეს კი არა, „ნაცმოძრაობა" ვერ მოვიშორეთ და შიდა პოლიტიკა ვერ დავალაგეთ.**

— აუცილებლად უნდა დაიწყოს სამართლებრივი დევნა იმ პირებისა, ვისაც ხელები იდაყვამდე სისხლში აქვს დასვრილი. სწორედ ამას ელოდება საზოგადოება.

მოსახლეობისთვის გაუგებარია, როგორ შეიძლებოდა, რომ არა ერთი მძიმე დანაშაულის ჩამდენი და არაერთგზის მხილებული, **აჭარის ყოფილი კუდის უფროსი პატარაძე**, რომელიც საპროცესო გარიგების შედეგად საპატიმრო სასჯელს განერიდა. რა ინფორმაციაც არ უნდა მიეწოდებინა თავისუფლების სანაცვლოდ, ასეთ მაღალ თანამდებობაზე დაენიშნათ. ალბათ, უფრო ღრმად არის შესასწავლი ზოგიერთი ყოფილი ჩინოვნიკის საქმიანობა.

**აჭარის მოსახლეობისათვის კატეგორიულად მიუღებელია, აქ სამუშაოდ, თითქოს როტაციის შედეგად, სხვადასხვა რაიონებიდან კადრების ჩამოყვანა და დასაქმება, როცა ადგილზე მცოდნე, კვალიფიციური და ერთგული კადრების დეფიციტი არ არსებობს.**

აჭარაში ფიქრობენ, რომ ეს არის ადგილობრივ მოსახლეობისთვის უნდობლობის გამოცხადება. მაშინ, როცა ჩამოყვანილი კადრები არაფრით არ გამოირჩევიან.

მოსახლეობისათვის არ არის სულ ერთი, რომ ახალგაზრდობაში ისევ წამოიწია ე.წ. ქურდულმა მენტალიტეტმა, საქმის გარჩევებმა, აზარტულმა თამაშებმა, სადარბაზოებში და ეზოებში ისევ გამოჩნდა გამოყენებული შპრიცები.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო ინიციატივები საჭირბოროტო საკითხებთან დაკავშირებით, უწყებებიდან და სამინისტროებიდან, ძალიან მცირეა, ალბათ, თავს არიდებენ პასუხისმგებლობას და ზედმეტ თავის ტკივილს.

ეს არის იმ საკითხების მოკლე ჩამონათვალი, რომლებიც საჭიროებს სასწრაფო ჩარევას და მოგვარებას. ამიტომაც იჩენს თავს დრო და დრო პრობლემები და ამ საკითხებს თუ არ მიეხედა, შედეგები სავალალო იქნება.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ვინ სკანდირებდა, ბათუმში, მიტინგზე, ამ შემაძრწუნებელ ფრაზას: – საქართველოს რა? – დედის .........!



„საქართველოს რა?" დაიძახა ბრბოდან რომელიღაც არსებამ და მისნაირმა არარაობებმაც უპასუხეს დედის .......! ეს ხდება ქალაქში, კუთხეში, სადაც ჩვენმა წინაპრებმა გაუძლეს ოსმალების ბატონობას, პარპაშს, ზეწოლას, და მაინც შემოინახეს ქართველობა. კუთხეში, რომლის დასაბრუნებლად უამრავი ცრემლი და სისხლი დაიღვარა!

რა მოხდა ბათუმში, რატომ მოხდა ასეთი არეულობა, ყველას აინტერესებს. ხალხმა პასუხიც გასცა ამ კითხვას — ეს იყო დაგეგმილი პროვოკაცია. დიახ, ჩვენც ვეთანხმებით, რომ მომხდარი ვანდალიზმი დაგეგმილი აქცია გახლდათ. ვის მიერ იყო ჩაფიქრებული, ამის შესახებ ჯერჯერობით ნაკლებად საუბრობენ. თუმცა იმის გარკვევას, თუ ვის აწყობს ქვეყანაში ქაოსისა და არეულობის მოწყობა, დიდი მკითხაობა ნამდვილად არ სჭირდება.

სიტყვის და პრესის თავისუფლებისთვის ბრძოლის სახელს ამოფარებულ ნაცხროვის წარმომადგენლებს არაერთხელ მოუწოდებიათ ქუჩის რადიკალური აქციებისაკენ. გავიხსენოთ, თუნდაც ერთი კვირის წინ სტრასბურგში გაგზავნილ წერილში, ფაქტობრივად, დაანონსებული იყო ქვეყანაში არეულობა და სისხლისღვრაც. სწორედ ამის შესრულებას გეგმავდნენ ნაცხროვის მიმდევრები. აქედან გამომდინარე, „რუსთავი-2" მათთვის იარაღია, რომლის მეშვეობითაც ცდილობენ, როგორმე დაბრუნდნენ ხელისუფლებაში. სწორედ ამიტომაც გამართეს შაბათს ვითომ „რუსთავი-2"-ის მხარდამჭერი აქცია-კონცერტი. თუმცა იქ ცოტა ვინმე თუ მივიდა. მათი სურვილი იყო, რეგიონებში აეგორებინათ აქციები.

როგორც ახლა ბათუმელები საუბრობენ, მომხდარ არეულობაში, ძირითადად, უცხო ადამიანები მონაწილეობდნენ. თუ კარგად მოვისმენთ ჩანაწერებს, აჭარული კილოკავი ნაკლებად ისმის. თვალშისაცემი ისიც გახლდათ, რომ არეულობა ღამით დაიწყო. ამ დროს კი თბილისში, პარლამენტის წინ ნაცხროვის წევრები მოვლენების განვითარებას გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს და სოლიდარობასაც უცხადებდნენ ბათუმში აქციის მონაწილეებს. ესეც თქვენი სიტყვის თავისუფლებისთვის ბრძოლა!

„სპონტანურად მოხდა ყველაფერიო", — ამტკიცებენ ნაცბანდის წევრები. თუმცა, ძნელი დასაჯერებელია, უცებ, სპონტანურად დაამზადოს ვინმემ „მოლოტოვის კოქტეილი". ქალაქის ცენტრში საბურავების შოვნა იოლი არ გახლავთ, აღარაფერს ვამბობთ ტომრებით მიტანილ ქვებზე. აქედან გამომდინარე, თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქცია დაგეგმილი იყო ნაცხროვისა და „რუსთავი-2"-ის მიერ! ამის თქმის საფუძველს რამდენიმე გარემოება გვაძლევს. ჯერ ერთი, კადრებში კარგად ისმის: „რუსთავი", ნახე, ახლა რას გავაკეთებ, გადაიღეო". მეორე: „იმედის" არხს შეგნებულად დაუზიანეს პირდაპირი ჩართვის კაბელი, რათა ხალხს არ გვენახა მათთვის არასასურველი კადრები. პროვოკატორი „რუსთავი-2" კი აჩვენებდა იმას, რაც სჭირდებოდათ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბათუმში მომხდარი დარბევა ძალიან წააგავდა უკრაინაში, კიევის მაიდანზე განვითარებულ მოვლენებს — ქვების სროლა „მოლოტოვის კოქტეილები", დამწვარი საბურავები და, რაც მთავარია, ნიღბიანი ხალხი! ეს გარემოებაც მრავლისმეტყველია.

ამაზრზენი მოსასმენი იყო, როდესაც ნაცხროვის წარმომადგენლები პოლიციის მიერ ძალის გადამეტებაზე საუბრობდნენ, მათ მიერ სასტიკად დარბეულ მიტინგებზე.

ბათუმში წესრიგის დამყარებისთანავე ნაცხროვა უმალ გაემიჯნა ძალადობას და ვითომ დაგმო მომხდარი ვანდალიზმი. თუმცა, ვინ იცის, ქვეყნისთვის რა მზაკვრული გეგმა იხარშება მათ თავებში.

დაბოლოს: არ მინდა დავიჯერო, რომ არსებები, რომლებიც საქართველოს ლანძღავდნენ, ბათუმელები ან აჭარლები იყვნენ. ამის გამორკვევა თქვენი ვალიც არის, ჩვენო ძმებო. თუ ადგილობრივები იყვნენ, თავადვე მოსთხოვეთ პასუხი. თუ ჩამოსულები, ესეც გასარკვევია.

ბათუმში საქართველოს ლანძღვას შორსმიმავალი პროვოკაციის სუნი დაჰკრავს. ამით მავანი ეთნოშუღლის ჩამოგდებას ცდილობს, რაც ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველი იქნება.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# გახსოვთ, „ნაცმოძრაობამ“ რომ თქვა: ხელისუფლების შეცვლა ბათუმიდან დაიწყებაო? ჰოდა, სცადეს კიდევაც დაწყება, მაგრამ...



***გვესაუბრება ადვოკატი, უფლებადამცველი, ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის ხელმძღვანელი გრიგოლ გაგნიძე.***

**— ბატონო გრიგოლ, რას ფიქრობთ, რა ტექსტით მიმართა „რუსთავი-2“-მა ევრო-სასამართლოს, ასე დაჩქარებული წესით რომ განიხილეს მათი საჩივარი?**

— ეს საჩივარი არ ყოფილა, ეს გახლდათ საჩივრის წინა განაცხადი. რაც შეეხება ტექსტს, ვერაფერს გეტყვით, რა შეიძლებოდა იქ ასეთი გულისამაჩუყებელი წერებულიყო. მიმაჩნია, რომ იმ განცხადებაზე მეტად იმოქმედა 35-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაციების პრეტენზიებმა, ვითომდა ტელევიზიისათვის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით. ამ არასამთავრობო ორგანიზაციებს საზოგადოება კარგად იცნობს, მშვენივრად ვიცით წინა რეჟიმთან მათი დამოკიდებულების შესახებ.

— გახსოვთ მეთიუ ბრაიზა, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი საქართველოში? გახმაურებული ამბავია, ამბობდნენ რომ , თურქეთში ბრაიზამ წვეულება გამართაო და სააკაშვილმა 160 000 დოლარის ღირებულების საჩუქარი მიუტანაო.

ასეთი სპონტანური უარყოფითი შეფასებები რაც „რუსთავი-2“-ის საქმეზე გამოაცხვეს, უცხოელთა მხრიდან ეჭვის საბაბს აჩენს, რომ ნაცებთან გარკვეული გაერიგება ამჟამადაც აქვთ, თორემ იდეალურ მდგომარეობაში რომ არ არის საქართველოში დემოკრატიის ხარისხი, ეს საკამათო არაა .

**— როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები. შეძლებს „რუსთავი-2“ ქართულ მართლმასჯულებას უკან დაახევინოს?**

— მხოლოდ სასამართლოს აქვს უფლება თავისი გადაწყვეტილება თვითონ გაუქმოს. სტრასბურგის სასამართლოს იცოდა, რომ საქმეს აგებდა და მაქსიმალურ ავანტურაზე წავიდა. მან წინდაწინვე მოსამართლეების შეურაცხყოფები და საჯარო შანტაჟი დაიწყო. ეს მასალები უნდა შეგროვდეს და სტრასბურგის სასამართლოს უნდა წარედგინოს. საქმე ისაა, რომ სტრასბურგის სასამართლო ვერ გააბათილებს უზენაესის გადაწყვეტილებას. მათ შეუძლიათ, გარკვეულწილად, რაღაც ნაწილში, ხელახალი განხილვა დაავალონ ქართულ მართლმსაჯულებას.

**— ბატონო გრიგოლ, აღსრულება უვადოდ გადაიდოო. რას ნიშნავს ეს?**

— სტრასბურგის დადგენილებაში სიტყვა უვადო ნახსენები არაა. უბრალოდ, ვადა არ არის მითითებული. ხელისუფლების ოპონენტებმა ტექსტი სათავისოდ გადათარგმნეს. იქ ნაგულისხმევია, რომ მოსარჩელემ და მოპასუხემ კომუნიკაცია იქონიონ და ისე გაირკვეს ეს საკითხი.



რაც შეეხება თვით საჩივრის წინა ტექსტს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ვებგვერდზე დევს ინგლისურ ენაზე შედგენილი ეს ტექსტი. იქ აღნიშნულია, რომ თითქოსდა, საქართველოში სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით უმძიმესი ვითარებაა, იდევნება აზრის, სიტყვის თავისუფლება, იდევნებიან პოლიტიკური პარტიები და ა. შ. ეს არასამთავრობოები პირდაპირ ნაცმოძრაობის სასურველ ნაბიჯებს დგამენ, მაგრამ, ვფიქრობ, ხელისუფლებამ უნდა იაქტიუროს და გააბათილოს ის ცრუ არგუმენტები, რაც წარადგინეს ამ ორგანიზებულმა ჯგუფებმა.

წინა რეჟიმის წარმომადგენლებს გარკვეული კავშირები ჰქონდათ და აქვთ შესაბამის წრეებთან, ისინი აწვდიდნენ მათ ყალბ ინფორმაციებს. მეგობრობის ხათრით თუ, სავარაუდოდ, მოსყიდვით , ან, ვინ იცის, რის ხათრით, ისინიც დადებით დაკვნებს დებდნენ.

**— მეგობრობდნენ და დასაყრდენი ძალაც იყვნენ მათთვის საკუთარი მიზნების განსახორციელებლად.**

ამის უფლება არ აქვს. სტრასბურგს შეუძლია დაადგინოს ევროკონვენციის მე-6, მე-10 მუხლების სავარაუდო დარღვევები. თუ ასეთი აღმოჩნდა, სახელმწიფოს დააჯარიმებენ გარკვეული თანხით. ქვეყნის სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს დიდი თანხა არ უნდა იყოს.

ხელისუფლებამ, თავის მხრივ, სტრასბურგში ორგანიზებულად უნდა გაგზავნოს ინფორმაციები, რა საჯარო ზეწოლებს განიცდიდნენ ამ საქმის წარმოებისას მოსამართლეები. ნაზღაიძე, გუჯაბიძე, ურთმელიძე, უმძიმეს ვითარებაში მუშაობდნენ.

არის ასეთი გამონათქვამი: „მოსამართლე ვარდი არ არის, კრიტიკამ დააჭკნოსო“, მაგრამ მოსამართლეც ადამიანია და მასზეც მოქმედებს შეურაცხყოფა. მით უფრო, თუ ყოველივე ეს საფუძვლიან კრიტიკას და მორალს ეწინააღმდეგება.

ყველას გვახსოვს ურთმელიძის დედის მიმართ გავრცელებული დეზინფორმაცია.

ნაზღაიძის ძმის ქონებასთან დაკავშირებული აჟიოტაჟი და ა. შ.

როგორც ჩანს, გვარამიამ

არ არის გამორიცხული სტრასბურგში კანდიდატების ორჯერ წარდგენილების ჩავარდნისათვის ბრძოლა ამჟამინდელ პროცესებთან ირიბად მაინც იყოს კავშირში.

**— ხელისუფლების პოზიცია მოგწონთ?**

— ხელისუფლება, ჩემი აზრით, სწორად იქცევა, რომ წონასწორობიდან არ გამოდის . გვარამიას პროკურორობის დროს დაარბიეს ტელეკომპანია „იბერია“, რა დღეში იყვნენ მედიასაშუალებები „ნაცმოძრაობის“ მმართველობისას და დღეს როგორ არიან — ლანძღავენ, აკრიტიკებენ ყველას და ყველაფერს და უხეში ძალა ამას არ უპირისპირდება. ეს წინგადადგმული ნაბიჯია, თავისთავად.

გვარამიამ განაცხადა, ჩვენი არხის თანამშრომლებს შეგვიძლია შევაგროვოთ იმდენი თანხა, რომ ხალვაშისგან ტელევიზია ვიყიდოთო.

შე კაი ადამიანო, ამდენი ფული თუ გაქვს, ახალი ტელევიზია შექმენი, მაგრამ არ უნდათ, რადგან წართმეული ურჩევნიათ, ამაზე არიან მიჩვეული: აქ უნდათ, რომ ლანძღონ ბიძინა ივანიშვილი. სამწუხაროდ, „ნაცმოძრაობას“ ივანიშვილის ციებ-ცხელება დაემართა. ვერ მოინელეს ამ ადამიანის არსებობა.

სამწუხარო ის არის, რომ „ნაცმოძრაობა“ „რუსთავი-2“-ის საქმით ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებს და საერთაშორისო დონეზე პროცესების აჟიტირებით პატარ-პატარა მიღწევებს საკუთარ გამარჯვებად და ხელისუფლების დამარცხებად მიიჩნევენ. ეს ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებაა. კრიტიკა კარგია, მაგრამ ის სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ არ უნდა იყოს მიმართული.

ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, „რუსთავის 2-“ის აქციით, კონცერტით რომ ვერ იქნა მიღწეული ხელისუფლების მწყობრიდან გამოყვანა, პროცესები ბათუმზე გადაერთო.

**— მართლა საშინელება მოხდა ბათუმში.**

— ბათუმში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, როგორ უცხადებდა „ნაცმოძრაობა“ სოლიდარობას ბათუმში პოლიციის მანქანების დარბევის მონაწილეებს, შეგახსენებთ, ვაშალომიძე აჭარაში შარშან, წინასაარჩევნოდ რომ ჩამოვიდა, მოქალაქეები შეაგულიანა. მაშინ ითქვა, რომ ხელისუფლების შეცვლა ბათუმიდან დაიწყებოდა. ჩვენ გვახსოვს „ნაცმოძრაობის“ წევრების კონენტარები „რუსთავი-2“-ზე — სამართლიანობა აჭარიდან უნდა აღდგესო. ის პროცესები, ჩემი ვარაუდით, ბმაში უნდა იყოს დღევანდელ პროცესებთან. ეს სათანადო ორგანოებმა უნდა გამოიძიონ.

ამ ინციდენტში კარგად დავინახეთ, პოლიცია მაქსიმალურად მობილიზებული და გაწონასწორებული იყო. მოსახლეობას, შეიძლება, სამართლიანი პრეტენზია ჰქონდა, მაგრამ აქ უკვე იმ პოლიტიკური ძალის სავარაუდო ინტერესები იკვეთება, ვინც ხელისუფლებას მზაკვრული მეთოდებით ებრძვის.

ამბობენ, რომ პოლიციის უფროსმა შეურაცხყოფა მიაყენა აჭარლებს. ამას ვერ დავიჯერებ. ამას დამტკიცება უნდა. თუ ეს დამტკიცდა, დროულად დანიშნონ გაწონასწორებული ადამიანები საპასუხიმგებლო ადგილებზე.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# რატომ არ ცვლის სემეკი ნაციონალი „ენერგომამების“ მიერ მემკვიდრეობად დატოვებულ სამსაფეხურიან ტარიფს, რომელიც კორუფციის და თაღლითობის უამრავ შანსს შეიცავს

„საერთო გაზეთი“ თავის დროზე კომპეტენტურ წყაროებზე დაყრდნობით წერდა იმ განუკითხაობის შესახებ, რაც ენერგეტიკის სფეროშია გამეფებული. სხვა პრობლემატურ საკითხებთან ერთად, საუბარი იყო საფეხუროვან ტარიფზეც, რომლის მიხედვითაც დედაქალაქის მოსახლეობა მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს იხდის. ეს ე.წ. გამჭოლი ტარიფი, პროფესიონალ ენერგეტიკოსთა სამართლიან აღშფოთებას იწვევს, რასაც მათი თქმით, მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. ამ „ნოვაციის“ დამნერგავი ნაციონალი „ენერგომამები“ კი თურმე თავს იმით იმართლებდნენ, საფეხუროვანი ტარიფი ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში მოქმედებს, ვინც მეტ ელექტროენერგიას მოიხმარს, ფასსაც გაცილებით მეტს იხდისო. გასაგებია, მაგრამ ამას სულ არ ჭირდება საფეხუროვანი ტარიფი, მეტის მომხმარებელი ისედაც მეტს იხდის. აქ კიდევ ერთი მაგრამ ჩნდება, როგორც წესი, საბითუმო ფასი ყოველთვის გაცილებით ნაკლებია საცალოზე, რაც ქართულ ენერგეტიკაზე რატომღაც არ ვრცელდება. ერთი წუთით დავუშვათ, რომ საფეხუროვანი ტარიფი მომხმარებლის ინტერესებიდან გამომდინარე შემოიღეს, ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობა და მდიდარი ფენა, რომელიც მეტ ელექტროენერგიას მოიხმარს, ერთი და იგივე ტარიფით რატომ უნდა იხდიდესო, მაგრამ ქართულ წარმოებას, რომელიც ისედაც სულს ღაფავს, რას ერჩით პატივცემულნო, საწარმოებიც ხომ მსხვილი მომხმარებლები არიან? ნაციონალებს რომ სულაც არ აღელვებდათ ადგილობრივი წარმოებისა და ეკონომიკის განვითარება, ეჭვი არ გვეპარება, მაგრამ თქვენ რას ფიქრობთ, მოქმედო ხელისუფლებავ? საქართველოში, სადაც 26.000 დიდი თუ პატარა მდინარეა და ცეცხლის ფასს გადაახდევინებ მეწარმეს დენში, ბუნებრივ აირსა და წყალში (დაბეგვრის რეჟიმზე აღარაფერს ვამბობთ), როგორ განავითაროს წარმოება და დაასაქმოს ხალხი? ეს კოლოსალური ხარჯები ხომ ზრდის ადგილობრივი წარმოების საქონლის თვითღირებულებას და ჩვენი მოსახლეობის მსყიდველუნარიანობიდან გამომდინარე, კონკურენციას ველარ გაუწევს უცხოეთიდან შემოტანილ მდარე, მაგრამ იაფ პროდუქციას. რა გამოდის, ადგილობრივი წარმოება ან საერთოდ უნდა გაჩერდეს, ანდა ძალიან მცირე რაოდენობით აწარმოოს პროდუქცია. თავს რომ ვიმართლებთ, ინფლაციის დონე იმიტომაა მაღალი, იმპორტი გაცილებით სჭარბობს ექსპორტს, ვწუწუნებთ, მომხმარებელ ერად გადავიქეცითო, თუ ქართულ წარმოებას იმის საშუალება არ მივცემთ, რომ ექსპორტს ვინ ჩივის, შიდა მოხმარების ბაზარი დააკმაყოფილოს, ექსპორტ-იმპორტის ბალანსი სამარადჟამოდ დარღვეული იქნება. დიდი ეკონომისტობა არ ჭირდება იმის მიხვედრას, რომ მარტო ღვინის, მინერალური წყლებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების, ისიც მიზერული ექსპორტი, ეკონომიკას ვერ განავითარებს. როგორი ხელშეწყობა აქვს აგრარულ დარგსაც, ეს ის თემებია, რომელთა შესახებაც ახლო მომავალში აუცილებლად ვისაუბრებთ.

დავუბრუნდეთ, წინა მდებარე სტატიის მთავარ თემას, საფეხურებრივ ტარიფსა და მასთან დაკავშირებულ „პერიპეტიებს“. მოგეხსენებათ, ხსენებული ტარიფი სამსაფეხურიანია, 101 კვტ/სთ-ის ჩათვლით მოხმარების შემთხვევაში 1 კვტ/სთ ელენერგია 12,98 თეთრი ღირს; 101-დან 301 კვტ/სთ-ის ჩათვლით – 16,992 თეთრი, ხოლო 301 კვტ/სთ-დან და მეტი – 21,476 თეთრი. დადგენილ ზღვარს 1 კვტ-თაც რომ გადასცდეს, მარტო ნამატს კი არა, მთლიან რაოდენობას ვიხდით გაზრდილი ტარიფით, რაც დარგის სპეციალისტთა მოსაზრებით, კორუფციის წყაროა. მათი განცხადებით, კორუფციული სქემა მოქმედებს მოხმარებული ელენერგიის დარიცხვის დროსაც, გამანაწილებელი კომპანიის ე.წ. წამკითხველები ელექტრომრიცხველებიდან ანათვალს თვის სხვა და სხვა დღეს იღებენ, არადა ზუსტად ერთსა და იმავე რიცხვში უნდა აიღონ, რომ წუთობრივი სიზუსტით გამოთვალონ მოხმარებული დენის ოდენობა. კომპანიას, რა თქმა უნდა თავის სასარგებლოდ, პირობითი დარიცხვის მექანიზმი დაუნერგავს, ერთ თვეს ვთქვათ, 27 რიცხვში რომ იღებენ ანათვალს, ხოლო მეორე თვეს უფრო ადრე, იმის მომიზეზებით ზუსტი მონაცემი ვერ ავიღეთო, პირობითად არიცხავენ მინიმუმ 5 კვტ-ს და ღირებულებას ხშირად მორიგ სატარიფო საფეხურზე გადაახტუნებენ და მომხმარებელს 2-3 ლარით მეტ თანხას არიცხავენ. ეს პირობითი დარიცხვები შემდეგ თვეებშიც გრძელდება, წლის ბოლოს ნამატი გადასახადი ჩვენი გაჭირვებული მოსახლეობისთვის სერიოზული დანაკლისია, სამაგიეროდ გამანაწილებელი კომპანიის შემოსავალი ამ კუთხით ათეულ მილიონობით ლარს უტოლდებაო. როგორც გავარკვიეთ, საქმე არც ასე „იოლად“ ყოფილა, თვიური დანამატი 2-3 ლარს კი არა, გაცილებით მეტსაც უტოლდება და დარიცხვაც სხვა პრინციპით ხდება.

სიტუაციაში გასარკვევად სემეკის ოფიციალურ ვებგვერდზე მითითებულ ტელეფონის ნომერზე (2420180) რომ დავრეკეთ, გვიპასუხეს, რომ ეს კომპანიის კი არა, მათი ბინის ტელეფონია, თქვენ პირველი არ ხართ, დღეში ათი ადამიანი მაინც გვირეკავს და სემეკს კითხულობსო. ბოლოს მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველს (ენერგოომბუდსმენი) **სალომე ფარდიაშვილს** დავუკავშირდით, რომლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება ჩვენი მკითხველისთვის.


სალომე ფარდიაშვილი

**სალომე ფარდიაშვილი:** „მოგეხსენებათ, სემეკის მიერაა დადგენილი ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესები. არსებული წესების თანახმად, რომელიც ელექტროენერგიის მომხმარებლებსა და მიმწოდებლებს შორის ურთიერთობას არეგულირებს, მიმწოდებელმა ენერგოკომპანიამ თვეში ერთხელ უნდა აიღოს ანათვალი. ეს თვეში ერთხელ, ენერგოკომპანიების მხრიდან ხშირად არაერთგვაროვნად განიმარტება და ისინი თავს უფლებას აძლევენ, რომ ასეთი ანათვალი თვიდან თვემდე 25-ე, 26-ე, 27-ე დღეს გააკეთონ, რაც რა თქმა უნდა არ ნიშნავს სრულ ერთ თვეს. იურისტები ერთ თვეს განვმარტავთ, როგორც 30 დღეს, სამოქალაქო კოდექსში ასეა მითითებული. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ თვეში ერთხელ ანათვალის გაკეთება, აუცილებლად უნდა ნიშნავდეს ჩვენების 30-ე დღეს აღებას. სამწუხაროდ კომპანიებს ისეთი პრაქტიკა აქვთ შემუშავებული, რომ თვის ბოლოსკენ ნებისმიერ დღეს გულისხმობენ, ამ დროს ხდება ანათვალის აღება, რაც შემდგომში ტარიფზე ახდენს ზეგავლენას. საერთოდ, ტარიფი ძალიან რთული თემაა, მისი გაგება შესაბამისი განათლების არსებობის გარეშე, ფაქტობრივად შეუძლებელია. ის ფორმულა, რომელიც ყოველთვიურად საბოლოო ხარჯს ანგარიშობს, იმდენად უცნაურად არის გამოყვანილი, რომ თუკი ანათვალს 30 დღეზე ნაკლები ვადით აიღებ, შესაძლებელი და მოსალოდნელია, რომ საფეხურის ტარიფი შემდეგი საფეხურის ტარიფზე გადაიყვანოს, რაც რასაკვირველია, ხარჯს გაზრდის. ნაცვლად იმისა, რომ ვთქვათ, ხარჯი 30 ლარი უნდა ყოფილიყო, შესაძლოა 15, 16, 20 ლარით ზედმეტიც კი იყოს, შესაბამისად, ამხელა სხვაობა შესამჩნევია მომხმარებლისთვის. ჩვენ მივესალმებით იმ სახის აქტიურობას, რომ მომხმარებელმა ბრმად არ გადაიხადოს ქვითარში მითითებული თანხა, ყოველთვის დააკვირდეს ქვითარში აღნიშნულ მოხმარებულ კვტ/სთ-ს და ტარიფს, რომლითაც ხარჯია დაანგარიშებული და აუცილებლად იქონიოს ამაზე რეაქცია. ერთი სიტყვით, ეს არის ძირითადი გამომწვევი მიზეზი, როცა ერთი საფეხურის ტარიფი მომდევნოთი იცვლება. ჩვენ უკვე მივმართეთ რეკომენდაციით საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას (სემეკი), მივაწოდეთ არაერთი ფაქტი და ვთხოვეთ, რომ განახორციელოს წესებში ცვლილება, იქ პირდაპირ ჩაიწეროს, რომ კომპანია ვალდებული იყოს სწორედ 30-ე დღეს გააკეთოს ანათვალი და მას არ ჰქონდეს ლავირების, კანონისა და წესის მათებურად განმარტების შესაძლებლობა. დღეისთვის მუშაობა უკვე მიმდინარეობს, საბოლოო გადაწყვეტილებამდე ჯერ ვერ მივედით, რადგან ეს მოითხოვს დიდ, ხანგრძლივ მუშაობას, აუცილებლად უნდა იყოს გათვლილი ბევრი დეტალი და ამის შემდეგ იქნება გადაწყვეტილება მიღებული. ვფიქრობთ, ეს საკითხი აუცილებლად მომხმარებლის სასარგებლოდ გადაწყდება, ვინაიდან არსებობს ამის პრაქტიკა, მარეგულირებელ კომისია ბევრჯერ დათანხმებია ჩვენს პოზიციას, როდესაც ასეთი საკითხები სხდომაზე გაგვქონდა. საერთოდ, ჩვენი მუშაობა ორი ეტაპისგან შედგება, პირველი რეკომენდაციების ეტაპია, როდესაც მე ენერგოკომპანიაში ვაგზავნი რეკომენდაციას და ვთხოვ გაითვალისწინონ, რადგან ხსენებული წესების თანახმად, დარღვეული აქვთ მომხმარებლის უფლებები. ხშირად ამ რეკომენდაციებს ითვალისწინებენ, რაც არ არის გათვალისწინებული, შემდგომში ყოველთვის განიხილება მარეგულირებელი კომისიაში ღია და საჯარო სხდომაზე. 2016 წელს არაერთი საკითხი მაქვს გატანილი, რომელიც შემდგომი საფეხურის ტარიფებზე გადაყვანას ეხებოდა. როგორც გითხარით, სემეკის დადგენილებაში არის ჩანაწერი, რომ თვეში ერთხელ გაკეთდეს ანათვალი, ენერგოკომპანიები ფიქრობენ, რომ მათ უფლება აქვთ ეს 25-ე დღესაც კი გაკეთდეს. ეს ქმნის პრობლემას, თორემ რასაკვირველია, სემეკის არცერთი ჩანაწერი არ აძლევთ მათ პირდაპირ უფლებამოსილებას, რომ ასე იმოქმედონ. მარეგულირებელი ამბობს, რომ არ არის სწორი გამანაწილებლების განმარტება, მათ 30-ე დღეს უნდა აიღონ ანათვალი, მაგრამ რახან კანონი არ აკონკრეტებს, ლავირების საშუალება აქვთ. კანონში ეს ხარვეზი თუ ცარიელი სივრცე, მათ სასარგებლოდაა გაკეთებული, ამიტომ მიდის მუშაობა, რომ დაკონკრეტდეს.






**- კვლავაც ხომ არ იგეგმება ტარიფების მომატება?**

- ელექტროენერგიაზე ტარიფის გაზრდას არ განვიხილავთ, მხოლოდ გაზის ტარიფთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა „სოკარგაზსა“ და „საქორგაზთან“ მიმართებაში, რეგიონებში ბუნებრივი აირის გამანაწილებლები ძირითადად ეს ორი კომპანიაა. 31 მარტამდე გვაქვს მოსაზრებების წარდგენის ვადა, ეს გახლავთ ძალზე რთული პროცესი, რადგან ახლა აქვს საშუალება ყველა დაინტერესებულ პირს, რომელიც ამ საკითხშია კომპეტენტური, რომ წარადგინონ წინადადებები, რაც აუცილებლად იქნება განხილული და ზოგიერთი მათგანი გათვალისწინებულიც.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# ჩავწეროთ კონსტიტუციაში, რომ გიორგი მარგველაშვილს საქართველოს მუდმივ პრეზიდენტად ვირჩევთ და ავლაბრის რეზიდენციასაც ვჩუქნით... ვერ იცხოვრებს ეგ უკვე სხვაგან...



მომესწრო, დამიკაცდა ჩემი ბუნჩულა პრეზიდენტი...

დააკვირდით? კარგად დააკვირდით? წარბები ასწია, სახეზე ის რაღაცნაირი ღიმილი აღარ დასთამაშებს, კოპების შეკვრაც ისწავლა...

ემახეთ ახლა ბუნჩულა, თუ კარგია... გეგონოთ ახლა რეპერი, თუ კარგია... აბა, ახლა დაუძახოს ბოკერიამ სადილად, თუ წავა? ჯერ გვარამია უნდა ამოვიდეს სადილების ვალს და მერე, ბატონო! ხოდა, ახლაც იტყვით: – ვისკის წრუპვა უყვარსო? – ველაარ... ახლა უნდა თქვათ: – ვისკის წრუპვა უხდებაო, აბა? ყველაფერი უხდება უკვე და იმიტომ.... ყველაფერი შეუძლია და გამოსდის იმ ბუნჩულა ხელებიდან და იმიტომ უხდება ყველაფერი, აბა!

საკუთარი, პირადი კონსტიტუციის დაწერა უნდა ახლა, რავა, არ ეკუთვნის? არ იმსახურებს? მიშას, იმ ცუდ მიშას სად ეცალა სახელმწიფოსთვის, სად შეეძლო საკუთარი თავის განვითარებაზე სამუშაოდ – პირადი მასაჟისტი ყავდა, პირადი პილოტიც, პირადი ცოლიც... უი, ცოლი ამანაც მოიყვანა, ეგ აღარ ითვლება... ხოდა, ა, გამოჩნდა როგორც იქნა პატიოსანი ადა-



მიანი... მასაჟისტებში და პილოტებში კი არ ხარჯავს ფულს – გონიერი ადამიანია, კულტურული და კოსტიტუცია უნდა მხოლოდ პირადი...

გინდა ეგრე არ არის, ძმაო, უნდა გერგებოდესო – შემოუთვალეს ქუთაისიდან...

პრეზიდენტობა და პრეზიდენტის სასახლე შევირგე და რაღა კონსტიტუცია დამადგება გულზეო, - ჩასცინებია ჩემს პრეზიდენტს...

ახლა ორი კონსტიტუცია თუ შეიძლება, ორი ცოლი რეიზა არ შეიძლება, ვითამო – აჯანყდნენ გურულები...

ჩასჩურჩულა პრეზიდენტმა ყურში გურულების ყაბალხმოხველ მეთაურს: – სულ არ არის ცოლად მოყვანა აუცილებელიო...

დედა, რა თქვა ამ კაცმა, აი–ს ძახილით გარბიან გურულები ჯერ კიდევ...

შეწუხდნენ მეგრელები – ჯერ ერთი კონსტიტუცია ძლივს ვთარგმნეთ მეგრულად და ახლა კიდე მეორე გვათარგმნინოს ამ კაცმა უნდაო...

რას ვიზამთ, უნდა პრეზიდენტს... პრინციპში, რაც უნდოდა ყველაფერი აისრულა და რაღა მაგაზე დავწყვიტოთ გული?

მოსწყინდა მდიდრული სექსი და ფილოსოფია... ახლა კონსტიტუციის ჯერია... გაიქეცი კონსტიტუციავ – მოგსდევენ, თუ დაგიჭირეს – თვალებს ვხუჭავ... არ ვარ 18 წლის ჯერ...

ეს ანეგდოტი ყველამ ვიცით, ალბათ:

მარო მიხოს: – მიხო, ე დმეოკრატია რა არი?

აი, მაგალითადა, დემოკრატიის დროსა, მე შემიძლიან მეზობელ ლამზირასთანაც მქონდეს სექსი და შენთანაცა...

ვა, ანუ, მეც შემიძლიან შაქროსთანა? – გაეხარდა მაროს...

აბა, ქალო, შენა დემოკრატიასა ბოზობაში ნუ აურევ.... – წარბი ასწია მიხომ...

ხოდა, ამ ჩვენს პრეზიდენტს რომ დაუჩემებია: – კაბინეტში არ უნდა იწერებოდეს კონსტიტუცია, ქუჩაში უნდა იწერებოდეს და თავისუფალი უნდა იყოს კონსტიტუცია, ვითარცა ადამიანებიო, – თავისუფლება რას ნიშნავს – ზუსტად იცის, დარწმუნებულია? იქნება და რამეში ერევა, ჰა?

ჩემი წარბაწეული და კოპებშეყრილი არ გამიბრაზდება და რამდენიმე მაგალითს მოვიყვან:

სტრასბურგი, მართალია, ქართველმა მოსამართლეებმა არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს, მაგრამ მე სასამართლო ხელისუფლებას და მის დამოუკიდებლობას ვცნობ და პატივს ვცემო...

ბათუმში მომხდარი ინციდენტის შემდეგ განაცხადა: – გამოხატვის თავისუფლება დაცული უნდა იყოს, არ შეეხოთ, არ დაარბიოთო. მაგრამ, მეორეს მხრივ, სახელმწიფო ინსტიტუტებსაც და კანონსაც რომ უნდა ვცეთ პატივიო? – ეჰ, სხვა რამე არ სცეთ, თორემ პატივს კიდევ რა უშავს...

საკუთრების უფლება დაცული უნდა იყოს, მაგრამ აი, „რუსთავი-2“-ის ბიზნესწილი ვის ეკუთვნის, სულ არ მაინტერესებსო.

საზოგადოება მოითხოვს „რუსთავი-2“-ის არსებობას, მაგრამ მე საზოგადოებას მინდა ნათლად დავანახო, რომ ეს ტელევიზია საჭირო და აუცილებელიაო... ბიჭოს, ბოლოს და ბოლოს იცოდა საზოგადოებამ და სტრასბურგმა თუ თქვენ დაანახეთ, ამიხსენით წესიერად – ამიჭრელდა თვალები, გასკდა თავი...

დედა, რაის კონსტიტუციის დამწერია ეს კაცი – ჩამოიხოკა სახე ოლღა ბებიამ...

ხოდა, ახლა იცის ამ კაცმა ან თავისუფლების ან დემოკრატიის არსი რაში მდგომარეობს? ასე, „ჭრელო პეპელა“ კონსტიტუცია უნდა რომ დაგვიწეროს?

რა მოუვიდა მერე მაგ „ჭრელო პეპელას“ ნეტავი იცის? იფრინა ასე წაღმა-უკუღმა – ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდებით, იწრიალა, იწრიალა და ჩაისვარა ბოლოს... არა, თქვენ ღმერთმა დაგიფაროთ, ჩემო წარბებაწეულო და კოპებშეკრულო...

წინა წერილში გთხოვდით, ნუ გამიბახებთ კონსტიტუციას– თქო და მოგეწონათ ეტყობა გაბახების იდეა...

ახლა, თქვენ ყველაფერ მდიდრულს ხართ შეჩვეული და ამ იდეის მოწოდებაში კი უნდა გადამიხადოთ რამდენიმე მილიონი მაინც...

რისი გადამხდელი ხართ, თქვენ... რაღა თქვენ გაწოდებთ მეც კიდევ იდეებს, მიმეწოდებინა ვინმე გადამხდელუნარიანისათვის...

იდეაზე გამახსენდა, წარბებაწეულმა და კოპებშეკრულმა ბრძანა – ორი წელი ყველა დიპლმატიურ შეხვედრაზე ვსაუბრობდი „რუსთავი-2“-ის პროცესზე და ჩემს აზრს ვაფიქსირებდიო... ერთხელ ჩვენც რომ გეხსენებინეთ წამლად, მამავ ბატონო, არა? თუ ჩვენ არ ვართ შვილები და მხოლოდ „რუსთავი–2“–ია თქვენი შვილი?

სტრასბურგის გადაწყვეტილებამდე იყო ჩემი რეაქციაო... ჯერ ჩემი რეაქცია იყო და მერე სტრასბურგის გადაწყვეტილებაო... რამე კარგზეც რომ გქონდეთ ხოლმე რეაქცია, ბატონო პრეზიდენტო, არა?

რა ქნას, რას ერჩით ამ ადამიანს, ყველა იმ პრეზიდენტივით ხომ არ იქნება, აი, უსახლკაროებს რომ ურიგებს თავის ხელფასს და თავად ქოხში ცხოვრობსო, – მითხრეს...

ხო, მართალია, ვერა, ვერ იქნება...

არადა, ყველა ფილოსოფს სულიერი სიმდიდრე ერჩივნა მატერიალურს, მეგონა...

ანუ, ფილოსოფოსიც არ ყოფილა ეგ...

დემოკრატიის და თავისუფლების აზრზე რომ არ არის, ეგ უკვე განვიხილე...

არა რა, მაინც ვერ გავარკვიე ვინ არის ეს კაცი...

მიადგა ახლა კონსტიტუციას...

ხოდა, ჩამოივლის ახლა საქართველოს, თელავში მივდივარ პირველადო... აქამდე თუ გახსენებია რომელიმე კუთხე ნეტავი?

რაის თავისუფალ კონსტიტუციაზე საუბარი უნდა კახელს? კახელს უნდა წყლის პრობლემების მოგვარება, ყურძნის „დაკრიშული“ ბიზნესის „განკრიშვა“ და კიდევ უამრავი რამ...

თუ მაგარი ბიჭი ხართ, ისიც თქვით აბა რეგიონებში, კონსტიტუციაში ქალისა და ქალის, კაცისა და კაცის ოჯახად გამოცხადებაზე რომ გსურდათ და გსურთ მინაწერის გაკეთება...

იმის მოყოლა არ დაგავიწყდეთ, როგორი მაგარია პრეზიდენტის სასახლე...

ამ სასახლის მერე ყველა სახლი მოგიჭერთ, ბატონო პრეზიდენტო...

იქნება და ჩაგვეწერა კონსტიტუციაში, რომ მუდმივად თქვენ იყოთ ჩვენი პრეზიდენტი და თქვენი შეცვლა არ შეიძლებოდეს... და მერე ლენინივით იქნებით, მუდმივად და უცვლელად...

ასევე, აუცილებლად უნდა მივუთითოთ კონსტიტუციაში, რომ პრეზიდენტის სასახლე თქვენია და მეტი არავისი... ცოდოა ეს ბუნჩულა ბიჭი, მერე რა, რომ წარბი ასწია და კოპი შეკრა, სული აქვს ფაქიზი და კანიც ფაქიზი აქვს – ვერ იცხოვრებს ეს უკვე სხვაგან... ვაჩუქოთ ეს ერთი სასახლე რა მოხდება, ვითომ?

და მე მივხვდი, ეს თქვენ ხართ!

მივხვდი, ვინ ხართ!

თქვენ ხართ ჩვენი კონსტიტუცია, თქვენ ხართ ჩვენი სეთურ მარგველაშვილი, თქვენ ხართ სასჯელი ყველა ჩვენი ცოდვისათვის, თქვენ ხართ ჩვენი მოუშორებელი ჭირი, თქვენ ხართ ჩვენი მტრების მეგობარი, თქვენ ხართ ცრუ ფილოსოფოსი, თქვენ ხართ ჩვენი საღათა, ძილისგუდა საღათა, თქვენ ხართ ფსევდოდემოკრატი, ფსევდოპრეზიდენტი, ფსევდოგულმოწყალე, ფსევდოგულუხვი, ფსევდოგანათლებული...

„გაგშიფრეთ“, ბატონო პრეზიდენტო... „დაგასტუკეთ“, ბატონო პრეზიდენტო...

გამოდით, გამოდით, ვიცი, მივხვდი, ვინ ხართ თქვენ:

თქვენ ხართ ფსევდო, ბატონო პრეზიდენტო...

ახლა, გინდა წარბი ამიწიეთ და გინდა კოპი შემიკარით... როგორ გითხრათ და ის რაღაცნაირი ღიმილი უფრო გიხდებოდათ – ბუნებრივი იყო უფრო და იმიტომ, ალბათ...

**თამუნა კეჟელავა**
555 46 08 04

## ლევან ჩაჩუა:

# „ქართული იდეის“ მიზანია, საქართველო „ცისფერი ბოლშევიზმისგან“ გათავისუფლდეს

**„ქართული იდეის“ ლიდერის განცხადებას ქართული სამეფო დინასტიის ებრაული წარმოშობის შესახებ საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. „მე ქართველი ვარ! მე ქართველი ვარ! მე ქართველი ვარ! — ეს ძარღვიანი სიტყვები უნდა იქცეს ჩვენი სულიერების, ცნობიერებისა და მიწა-წყლის დაცვისათვის სამართლიანი ბრძოლის დევიზად! მხოლოდ ეთნიკური ქართველის მოაზრება როდი შეიძლება ამ სიტყვების ქვეშ?! ვინ იყვნენ უფრო დიდი ქართველები ვიდრე წმინდა მირიან მეფე (სპარსი), წმინდა ნანა დედოფალი (ბერძენი), წმინდა აბო თბილელი (არაბი), წმინდა შუშანიკ დედოფალი (სომეხი), ბაგრატოვანი წმინდა მეფე-დედოფლები (ტომით ებრაელნი)... რომელი ეთნიკური ქართველი გაბედავს და იტყვის მათზე დიდი ქართველი ვარო?! ეს გახლავთ „ქართული იდეა“, რომლისთვისაც ორგანულია ღვთისა და მოყვასის სიყვარული და უცხოა ეთნიკური ნაციონალიზმი.“ — განაცხადა ლევან ჩაჩუამ. საზოგადოების ერთი ნაწილის აზრით, მიმდინარე მოვლენების ფონზე, ასეთი განცხადებების კეთება დაძაბულობის ესკალაციას ემსახურება.**

**მაინც, რატომ გახდა სწორედ ახლა აქტუალური ქართველ მეფეთა ებრაული წარმოშობის თემა? — ამ კითხვით პოლიტიკური პარტია „ქართული იდეის“ ლიდერს ლევან ჩაჩუას მივმართეთ:**

— სწორედ მაგ კამპანიის ნაწილია ჩემი დამახინჯებული და კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზის გავრცელება და შემდეგ ამაზე საზოგადოებრივად აქტიური ადამიანების „წამოგება“.

ყველაფერი იმას მოჰყვა, რომ სოციალურ ქსელებში დადებული სტატუსის ქვეშ „მე ქართველი ვარ“ რამდენიმე ადამიანმა შიშნარევად დასვა კითხვა - ხომ არ ვგულისხმობდით მხოლოდ ეთნიკურ ქართველებს. ამ ადამიანებს ვუპასუხეთ, რომ ჩვენ არ ვგულისხმობდით მხოლოდ ეთნიკურ ქართველებს, რადგან ისტორიულად, ბევრი წარმოშობით არაქართველი, მაგრამ სულით ყველაზე დიდი ქართველი გვყოლია. დავასახელეთ მეფე მირიანი (სპარსი), ნანა დედოფალი (ბერძენი), წმინდა ნინო კაბადოკიელი, აბო თბილელი (არაბი), 12 ასურელი მამა და ასევე, ვახსენეთ ბაგრატიონების ბინასტია, რომელიც წმინდა დავით მეფსალმუნედან მომდინარეობს. მე პატრიარქის სიტყვებით ვხელმძღვანელობდი, რომელმაც ბრძანა, რომ ქართული იდეის განმახორციელებლები ხშირად არაქართული წარმომავლობის წმინდანები იყვნენ და ზუსტად იგივე ჩამონათვალი გააკეთა. სამწუხაროდ, ერთ-ერთმა ჩასაფრებულმა ჟურნალისტმა მხოლოდ ეს ნაწილი ამოიღო კონტექსტიდან. რაც შეეხება ბაგრატიონთა წარმომავლობას, ეს ჩემი სიტყვები არაა და პირდაპირ „ქართლის ცხოვრებაში“ წერია. თავად ბაგრატიონები თავს ყოველთვის დავითიან-იესიან-სოლომონიანებად თვლიდნენ და მათ ღერბზე გამოხატულიშურდული და კვართი ზუსტად მათ წარმომავლობას უსვამს ხაზს. ამის უარყოფა ისტორიის ელემენტალური უცოდინარობაა..

**— აბო თბილელის, წმინდა შუშანიკის, ასურელი მამების თუ სხვათა წარმომავლობის შესახებ ყველაფერი ცნობილია, რაც შეეხება, ბაგრატოვანთა წარმომავლობას, არც ერთი ვერსია დადასტურებული არაა.**

— როგორ არაა? ვახუშტი ბაგრატიონზე დიდი ბაგრატიონი და დიდი აკადემიკოსი ვინაა? მასაც არ დავუჯეროთ? არსებობს დავით მეფსალმუნიდან გუარამ კურაპალატამდე გენეალოგიური სახელობითი ჩამონათვალი და ეს ლევან ჩაჩუამ კი არ თქვა, „ქართლის ცხოვრებაში“ წერია. სამწუხაროა, რომ ამას არც სკოლაში და არც უმაღლეს სასწავლებლებში არ ასწავლიან და დღევანდელმა თაობამ საკუთარი ქვეყნისა სამეფო დინასტიის ისტორია არ იცის.

**— თქვენს ვერსიას ისეთი ადამიანებიც არ ეთანხმებიან, რომლებსაც ისტორიის ცოდნას ვერ დაუწუნებთ. უფრო მეტიც, იმასაც ამბობენ, რომ ასეთი საუბრები მავანს ქართულ ცნობიერებაში სიონისტური მოძრაობის შემოჭრისა და ქრისტიანობის იუდაიზაციისთვის ჭირდება. პირდაპირ გკითხავთ, ქართული იდეა ქართველთა საამაყო მეფეების არაქართველებად გამოცხადებაა?**

— მე ამაზე გიპასუხეთ, რომ წარმომავლობის მიუხედავად, ისინი ძალიან დიდი ქართველები იყვნენ და იგივეს გაგიმეორებთ. თქვენ შუშანიკ დედოფალზე, ვახტანგ გორგასალზე ან წმინდა ნინოზე დიდ ქართველად მიგაჩნიათ თავი?

**— ბატონო ლევან წმინდანებისთვის თავი არასოდეს გამიტოლებია და კითხვა უადგილო მგონია..**

— კი, მაგრამ თქვენ სვამთ ამ კითხვას. „ქართული იდეა“ არ არის შოვინისტური იდეა. ქართული იდეა სწორედ ისაა, რომ ხშირად, ეთნიკურად არაქართველები ისეთ ქართულ საქმეს აკეთებდნენ, როგორითაც ბევრი ქართველი ვერ დაიტრაბახებს. ჩვენ გვყავდა ეთნიკურად ქართველი სერგო ორჯონიკიძეები, ფილიპე მახარაძეები და მიხეილ სააკაშვილები, რომლებიც ანგრევენ ქართულ სულიერებას და ცნობიერებას, მაგრამ გვყავდნენ ეთნიკურად არაქართველები, რომლებიც ყველაზე დიდ ქართულ საქმეს აკეთებდნენ.

**— როგორც იცით, საზოგადოების ნაწილი ქართველთა მეფეების ეთნიკურ არაქართველებად მოხსენიებამ გააღიზიანა. მათი კრიტიკის პასუხად, ერთ-ერთ ინტერვიუში ბრძანეთ, ჩვენ ისეთი დიდი საქმისთვის გვაქვს ხელი მოკიდებული, რომ მათ ყეფას ყური არ უნდა ვათხოვოთო. იქნებ, გვითხრათ, რომელ დიდ საქმეებს გეგმავთ?**

— ჩვენ დავიწყეთ კამპანია ანტისოროსი და ჩავატარეთ ორი დიდი აქცია სისტემის საწინააღმდეგოდ, რომელიც აგერ უკვე 25 წელია, საქართველოს მართავს. ხელისუფლება ჩაგდებული აქვს მარიონეტებს, რომლებიც უცხო ქვეყნებიდან ფინანსდებიან და ამან ქვეყანას ცუდის მეტი არაფერი მოუტანა. „ქართულმა იდეამ“ ახალი ეროვნული მოძრაობა გამოაცხადა! თუ 90-იანი წლების ეროვნულმა მოძრაობამ, რომლის სათავეში დიდი ადამიანები ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა იყვნენ, საქართველო „წითელი ბოლშევიკებისგან“ გამოიხსნეს, ჩვენ გეზი გვაქვს აღებული, რომ საქართველო „ცისფერი ბოლშევიკებისგან“ გავათავისუფლოთ.

**- „ცისფერ ბოლშევიკებში“ ვის გულისხმობთ?**

— ყველა იმ ძალას, რომელიც შევარდნაძის ხელისუფლების მემკვიდრეა, ანუ სააკაშვილისა და ივანიშვილის ხელისუფლებებს. ყველა, ვინც ხელისუფლების სათავეში ეროვნული მოძრაობის შემდეგ მოვიდა, უცხოური ძალების მარიონეტი იყო და მხოლოდ იმას აკეთებდა, რაც უცხოეთში ჩვენი ქვეყნისთვის სასიკეთოდ მიაჩნდათ.

**— იმ შემთხვევაში თუ ქართულ ცნობიერებაში ბაგრატიონთა ებრაული წარმოშობის თემამ ფეხი მოიკიდა, შეიძლება თუ არა, ისრაელს ქართულ სამეფო ტახტზე პრეტენია გაუჩნდეს?**

— სახარებაში მაცხოვარი ბევრჯერ არის მოხსენიებული დავითის ძედ. თუ 21-ე საუკუნეში რომელიმე ქართველი მკვლევარი დაამტკიცებს, რომ დავით მეფსალმუნე და ღვთისმშობელი წარმოშობით ქართველები იყვნენ, ამაზე შეიძლება საუბარი და დავა, თუმცა ასეთი რამ არც ერთ წმინდა მამას და არც ერთ საეკლესიო კრებას არ უთქვამს. რაც შეეხება ებრაელების შესაძლო პრეტენზიებს, ასე საკითხის დასმა საერთოდ უტოპიად მიმაჩნია. რას ქვია პრეტენზია გაუჩნდეთ? შიშების და ვარაუდების დონეზე საუბარი არასერიოზულად მიმაჩნია. ბაგრატიონები სამეფო ტახტზე 1100 წელი იყვნენ და არასოდეს ისრაელს არ უთქვამს, რომ საქართველოში ებრაული წარმომავლობის, დავით მეფსალმუნის შთამომავლები მეფობდნენ. რაც ვთქვი, ეს ჩემი მოსაზრება და ვარაუდი არ არის. ეს პირდაპირ წერია ისტორიულ წყაროებში. თუნდაც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, როდესაც გრიგოლ ხანძთელი აშოტ კურაპალატს აკურთხებს, ეუბნება- შენ ხარ პირდაპირი შთამომავალი დავით მეფსალმუნის, რომელიც იწოდებოდა ქრისტეს ხორციელ მამად და ა.შ. რატომ ხდება ასეთი უტყუარი ჭეშმარიტება განსჯის საგანი, ვერ ვხვდები..

**როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველი მეფეების ებრაული წარმოშობის თეორიას ისტორიკოსთან ნაწილი კატეგორიულად არ ეთანხმება. რატომ გახდა აუცილებელი ქართველ მეფეთა ბიბლიური დავით მეფსალმუნის შთამომავლებად შერაცხვა, ამაზე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ედიშერ გვენეტაძე გვესაუბრა:**

— არა, ბატონო, არა! ეს იყო იმდროინდელი იდეოლოგია, რომელიც ჭირდებოდა ქვეყნის ერთიანობის ჩამოყალიბებას და ქრისტიანობის განმტკიცებას. ეს მოდის სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატოვანთა“-დან, რადგან იმ დროისათვის, ასე იყო საჭირო იყო და შემდეგ, პერმანენტულად გადადიოდა, როგორც ვითომდა, ისტორიული ტრადიცია. კატეგორიულად ვერ გავიზიარებ მოსაზრებას, რომელიც სიმართლეს არ შეესაბამება. ზოგადად, ამას ჭირდება ძალიან დიდი დრო და დასაბუთება, თუმცა, ეს უკვე გააკეთეს ისეთმა დიდმა ისტორიკოსებმა, როგორიც იყო ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი და სიმონ ჯანაშია. ვინმეს თუ თავი ამ ისტორიკოსებზე მცოდნედ წარმოუდგენია, ვერაფერს გეტყვით..

ნელი თორდია
571 35 36 88






# „ქართული იდეა“ და მისი ავტორი ინფორმაციული „ციანიდით“ მოწამლეს?



ბატონი ლევან ჩაჩუას, როგორც ქართველი კაცის მიერ საქართველოს მეფეთა და დედოფალთა: დავით აღმაშენებლისა, თამარისა და ქეთევან წამებულის „ტომით ებრაელობის“ ესოდენ უხეში და ესოდენ ხისტი თავდაჯერებულობით მოხსენიების ფონზე, ნამდვილად დავინტერესდი, რას ნიშნავს ამ კაცისათვის „ქართული იდეა“ და რას ეძღვნება მისი ახალი ქართული ეროვნული მოძრაობა, რომლის წინამძღოლობაც თავად იტვირთა?! და რაც მთავარია, პირველად დავინტერესდი: აქვს თუ არა მოძრაობა „ქართულ იდეას“ რაიმე კავშირი მის მიერ, ბატონ ლევან ჩაჩუას მიერ გაცხადებულ პირად ჭეშმარიტებასთან, რომ დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, აშოტ კუროპალატი, ბაგრატ მესამე, ქეთევან წამებული და სხვანი მსგავსნი, ღირსეული





მეფე-დედოფლები, ეთნიკური ქართველები არ არიან, რომ თავიანთი ღვიძლი-შვილობით, ანუ თავიანთი გენითა და სისხლით ისინი საქართველოს შვილები არ არიან და კერძოდ ებრაელები არიან! ასე ხისტად ეკლესიასაც კი არ უქადაგია. სამაგიეროდ ლევან ჩაჩუა აღმოჩნდა ეკლესიისაგან წაქეზებული და ეკლესიისავე ცთომილი აზრით აღფრთოვანებული და ისეთი მასშტაბით განავითარა და ისეთ ხარისხში აიყვანა ეკლესიურ-მონარქისტული პოზიცია, რომ „ქართული იდეის“ ლიდერი აღქმულ იქნა როგორც, არა „ქართული იდეის“, არამედ „არაქართული იდეის“ წარმომადგენელი და ეროვნულ თავმოყვარეობას მოკლებული. უფრო მეტი: ქართული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ვერ კარგად მყოფი“.

თავს ნებას მივცემ, მოკრძალებით შევახსენო მკითხველ საზოგადოებას, რომ ამ პრობლემასთან დაკავშირებით, „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნდა ჩემი ვრცელი წერილი სახელწოდებით: „საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიპსის კარიბჭესთან“ ანუ „ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად...“

„საერთო გაზეთის“ რედაქტორმა, ბატონმა ვახტანგ ხარჩილავამ პატივი დაგვდო, როგორც ავტორის და 2014 წლის ნოემბერ-დეკემბრისა და 2015 წლის იანვრის საგაზეთო ნომრებით, წერილების მთელი ციკლისაგან შემდგარი ასორმოც გვერდიანი სამეცნიერო გამოკვლევის გამოქვეყნება მიიჩნია საჭიროდ. გამოკვლევის გაცნობას მკითხველი საზოგადოების საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. თუ ეს პროცესი ბატონ ლევან ჩაჩუას, საკმაოდ სიღრმისეულად დაკავშირებულს საქართველოს ეკლესიასთან შეუნიშნავი დაურჩა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი, გაუცნობიერებლად, უნებურად, უკვე ქართველი ხალხის სახელით, სრულიად თავიდან იწყებს მტკიცებას იმ აბსურდული თვალსაზრისისას, რომელიც საქართველოში მიმდინარე სიონისტური ინფორმაციული ომის წისქვილზე ასხამს წყალს და ქართველი ერის ეროვნული თვითმყოფადობის, მისი ეროვნული მეობის გაუფასურებაზე, ქართველი ხალხის ეროვნულ ვინაობაზე შეურაცხმყოფელი თავდასხმის განცდას იწვევს. ჩემს ხედვაში ლევან ჩაჩუა წამოგებულია იმ ინფორმაციულ საწამლავზე, რომელიც საქართველოს ეკლესიურ სივრცეში, სრულიად კონსპირაციული, სრულიად არამეცნიერული გზებით იქნა ჩანერგილი და საქართველოს პატრიარქის დიდი ავტორიტეტით შეფუთული.

„ქართლის ცხოვრება“, რომელიც უმნიშვნელოვანესი წყაროა საქართველოს ისტორიისა, უნდა გვახსოვდეს, რომ თავადაც ისტორიული წყაროა საქართველოს ისტორიისა, რომლის არამეცნიერული წაკითხვა არაკომპეტენტურ წაკითხვასაც ნიშნავს. გარდა იმისა, რომ იგი ტექსტოლოგიურად წარყვნილად არის მიჩნეული, სავსეა თავისთავად ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციებითაც. ამიტომ იყო, რომ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტოლოგიური მკვლევარი, კონსტანტინე გრიგოლია, რომლის კვლევასაც დიდად აფასებდა ბატონი სიმონ ყაუხჩიშვილი, აკადემიკოსი და დიდი ტექსტოლოგი, „ქართლის ცხოვრების“ ყველა არსებული ხელნაწერის შესწავლის საფუძველზე დამდგენი „ქართლის ცხოვრების“ აკადემიური ტექსტისა, გამაფრთხილებლად წერდა ყველა მკითხველისა და მკვლევარისათვის: – „ქართლის ცხოვრებაში“ მოცემული ისტორიული ცნობების პირდაპირი მნიშვნელობით გაგებამ ხშირად შეიძლება მიგვიყვანოსო დიდ შეცდომებთან.

კონსტანტინე გრიგოლიას დასკვნებს ისიც უნდა დავურთოთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ არამეცნიერული წაკითხვის შესაძლებლობანი, უნდა გვახსოვდეს, რომ მშვენივრად შეიძლება გამოიყენონ საქართველოს და ქართველი ერის მტრებმაც თავიანთი ინფორმაციული ომისათვის ქართველი ერის ღირსებათა დასაკნინებლად. სწორედ ამ პრინციპების გათვალისწინებით შევეცადეთ ჩვენ აგვეხსნა ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის „დავითიანის“ მინიჭების ისტორია, ისტორია „დავითიანი“-ს, როგორც საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა **წოდების** აღმოცენებისა ტაოკლარჯეთის მონასტრულ, ამასთან მონასტრულ-საკანონმდებლო სავანეში. საქართველოს ეკლესია, მეცნიერულად არაკომპეტენტური და არაკვალიფიციური პიროვნებების მეშვეობით, სახელმწიფოს პოლიტიკური ტენდენციების განხორციელების მიზნით, სწორედ „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებზე დაყრდნობით, შეცდომაში იქნა შეყვანილი და აცდენილი, როგორც წმინდა ეკლესიურ-კანონიკურ გაგებას ბაგრატიონთა წმინდა ქართული წარმომავლობისას, ასევე დიდი ქართველი მეცნიერების: ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, პავლე ინგოროყვას, ექვთიმე თაყაიშვილის, კორნელი კეკელიძის გაგებას ბაგრატიონთა წმინდა ქართული წარმომავლობისას.. ჩემს ხედვაში ლევან ჩაჩუას პოლიტიკური მოძრაობა: „ქართული იდეა“ გახმამაღლავებაა იმ სტრატეგიული დუმილისა, რომლითაც საქართველოს ეკლესია და საქართველოს სახელმწიფო შეხვდა ჩემს მიერ წარმოდგენილ და გამოქვეყნებულ თვალსაზრისებს ბაგრატიონთა წმინდა ქართველობისა, სამეცნიერო შრომებით: „გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“ და „ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად, ანუ ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის, „დავითიანის“ გაგებისათვის, დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში“. გამოცემის პროცესშია წიგნი: „საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა წარმომავლობა და ქართველი ერის საღმრთო მისია“. როგორც აღვნიშნეთ, მოძრაობა „ქართული იდეა“, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების დინამიკაში, ჩვენ აღვიქვით ჩვენი სუბიექტური აღქმით, როგორც ერთგვარი კომპენსაცია ეკლესიურ-სახელმწიფოებრივი დუმილისა ჩემს შრომებში ასახული თვალსაზრისების მიმართ, ბაგრატიონთა წარმომავლობის შესახებ, ამასთან აგრესიული და გამარჯვებულის მოზეიმე ფორმით. ცხადია, ჩვენი სახელმწიფო, თავისი პოლიტიკიდან გამომდინარე, არა სცნობს, არ საჭიროებს ჩვენეულ მიკვლევას ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის - „დავითიანის“ მნიშვნელობის განსაზღვრისას: „დავითიანობის“ ეკლესიურ-მონასტრული, ანუ კანონიკური შინაარსის დაკარგვას მემატიანეთა ცნობიერებაში, ისტორიულ გარემოებათა გამო, და მემატიანეთა მიერ გაუცნობიერებელ მცდელობას ბაგრატიონთა „დავითიანობის“ ზეპირ-გადმოცემითი, არაზუსტი და არასულიერი გაგების დამკვიდრებისას ერის ცნობიერებაში, „დავითიანობის“ ნამდვილი, კანონიკური და სულიერი მნიშვნელობის გაპრიმიტიულებული ვერსიით.

„ქართული იდეის“, როგორც პოლიტიკური მოძრაობის აღნიშნულ კრედოს,ფაქტიურად კომენტარი არ სჭირდება, რადგან ნებისმიერი ნორმალური ქართველისათვის ამგვარ ქართულ იდეას არაფერი საერთო არა აქვს ქართველობასთან, ქართველობის იდეასთან. ეს გახლავთ ჯორჯ სოროსის“ღია სამოქალაქო საზოგადოებისა“ და ედუარდ შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირის“ თარგმანი ბატონი ლევან ჩაჩუას„ქართული იდეის“ ენაზე. საკითხი არასწორად არის დასმული: „რომელი ეთნიკური ქართველი გაბედავს და იტყვის, მათზე დიდი ქართველი ვარო?“ თავად ებრაელთა წმინდა წიგნი კრძალავს ებრაელთა მეფედ არაებრაელის დაშვებას. ცნობილი შვედი მწერალი - თომას ენგსტრემი, რომელიც ევროპას გამოექცა და საქართველოში გადმოსახლდა, ქართველი ერის თვითმყოფადობისათვის იბრძვის და ევროკავშირში შესვლით თვითმყოფადობისა და თავისუფლების დაკარგვას გვიწინასწარმეტყველებს. ლევ გუნინი, ებრაული წარმომავლობის კანადელი მწერალი, რუსთაველის მიმდევრად აცხადებს თავს და ქართველ ერს ინფორმაციულად ეხმარება მოვლენების გარკვევაში. ისინი ძვირფასნი არიან ჩვენთვის, მაგრამ თუ საქართველო უბრალო ლელთ ღუნიებისაგან დაიცლება და თომას ენგსტრემებისა და ლევ გუნინებისაგან იქნება შემდგარი, ის აღარ იქნება საქართველო და ქვეყანა ქართველი ერის. და აღარ იქნება არც „ქართული იდეა“! სწორედ ის ეთნიკური ქართველი ჰქმნის ქართველი ხალხისა და ქართველი ერის ფენომენს. სწორედ ამ ეთნიკურ ერს ებრძვის მსოფლიოს ახალი სიონისტური წესრიგი, რომელსაც თავისი იდეა „ ერთი ერისა, ანუ ებრაელი ერის და მთელი დანარჩენი უეროვნებო მსოფლიოსი“ შეფუთული აქვს ამერიკული სამოქალაქო საზოგადოების იდეაში.



**დენიჟა სუმბაძე**

# მეუფე პეტრეს ვნებანი



მეუფე პეტრე

მას მერე, რაც ე. წ. „ციანიდის საქმე“ გახმაურდა, ჭყონდიდის ეპარქიის მმართველი, მიტროპოლიტი პეტრე საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. პრინციპში, თვითონ მოინდომა ასე — ზედმეტად გააქტიურდა და უფრო გააღრმავა ეჭვები იმის თაობაზე, რომ პატრიარქის სავარძლისკენ უჭირავს თვალი. ამას ისე, ჭორად ამბობენ: მეუფეს პატრიარქობა სურსო, ერთ ყოფილ მაღალჩინოსანს მეუფის გამკრიტიკებლისთვის ისიც კი უთქვამს: გაჩუმდი, ნუ ამხელ მეუფეს, დღეს თუ არა, ხვალ ეს კაცი პატრიარქი იქნებაო.

რამდენიმე კვირის წინ „საერთო გაზეთში“ ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც ერთი სასულიერო პირი მეუფე პეტრეს მიერ ვინმე ილია ზუკაკიშვილის ქონების თვითნებურად გაყიდვაზე საუბრობდა. ზუკაკიშვილის სახლ-კარი მეუფეს, იგივე პაატა ცაავას, ერისკაცობაში გაუყიდია, მერე წასულა ყაზბეგში მორჩილად და ზუკაკიშვილს სამღვდელო კაბაში უცოდველი სახით გამოცხადებია.

იმასაც ამბობენ, სენაკში დაბადებული პაატა ცაავა ყმაწვილკაცობაში ჯიბის ქურდობაში ყოფილა დახელოვნებული — ეს საქმე მშვენივრად გამოსდიოდაო. ახლა ძნელია იმის თქმა, რატომ თქვა უარი ცაავამ კანონიერი ქურდის კარიერაზე, მაგრამ სასულიერო იერარქიაში რომ უმაღლეს საფეხურს მიაღწია, ეს თვალნათლივ ჩანს.

აღსანიშნავია მისი სიმპათიები წინა ხელისუფლების მიმართ. მეუფე ექსპრეზიდენტის ცოლის **სანდრა რულოვსის** პირადი მოძღვარი ყოფილა. მარტვილში იმასაც ამბობენ, მეუფეს ერთი მონაზვნისგან გოგონა შეძენია, ბავშვს თურმე მეუფის დედა ზრდიდა სენაკში და ეს ამბავი რომ გახმაურებულა, გოგონა სადღაც გადაუმალავთ.

მეუფის ცხოვრების წესზე მრევლის წევრები ჩუმად საუბრობენ. თან პირჯვარს იწერენ: ქალების კისკისი გამოდის ღამღამობით სალხინოში, სასტუმროდანო. 5 გაკრიალებული ჯიპი კვირაში ორჯერ რომ მიადგება რეზიდენციას და იქედან მერე ღრეობის ხმა რომ გამოდის, რას მივაწეროთო, ჩვენი ბიზნესმენი მეუფე ერისკაცივით ცხოვრობს, ამას ხმამაღლა ვერ ვამბობთ, მაგრამ თუ ამ ადამიანს ეპარქიიდან არ მოგვაშორებენ, ქუჩაში გამოვალთო.

* * *

მეუფე ჭყონდიდის ეპარქიაში 2006 წელს მიავლინეს და, როგორც ჩანს, ეს შემთხვევით არ გაკეთებულა. ნაციონალებმა მშვენივრად იცოდნენ, მეუფე პეტრე მათთვის ერთგული მხარდამჭერი, ინფორმაციის შემკრები, არჩევნებში მხარდამჭერი, მათ ქმედებებზე ოლარის გადამფარებელი და საიდუმლოს შემნახავი რომ იქნებოდა. მოგეხსენებათ, საპატრიარქოში მხარდამჭერები ბევრი ჰყავდა „ნაცმოძრაობას“, როგორც შეგზავნილი, ისე ადგილობრივი და თვითონაც დარბოდნენ სინოდის სხდომებზე.

ამიტომაც ამბობენ მარტვილსა და აბაშაში, მეუფე პეტრე „ნაცმოძრაობის“ მაღალჩინოსნებს საქმეებს უგვარებდა, ბიზნესებისა და აგარაკების ჩუქება-გადაფორმების საქმეში აქტიურად მონაწილეობდაო.

პრესა ადრე წერდა ამაზე, შს ყოფილმა მინისტრმა **ვანო მერაბიშვილმა** კვარიათში, იმ ცნობილი სამსართულიანი სააგარაკო სახლის გადაფორმების სანაცვლოდ ქონების წართმევისთვის აღძრული სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას დაჰპირდა იმ ქონების პატრონს და შუამავლად მეუფე პეტრე მიუგზავნაო.

მარტვილში ასეთ საეჭვო გარიგებაზეც ლაპარაკობენ: **ახალაიები** ხალხს დაიჭერდნენ, მერე იმათი ნათესავები მეუფესთან მიდიოდნენ და დაჩოქილი სთხოვდნენ თურმე: დიდო მეუფე, გამოგვახსნევინე დაპატიმრებულიო და ჩუქნიდნენ საჩუქრებს, ეკლესიას სწირავდნენ ფულს. მეუფე ამშვიდებდა მათ, ჰპირდებოდა დახმარებას. დაპატიმრებულს კი ზოგს უშვებდნენ, უმეტესობას — არა, მაგრამ პასუხს ვინ მოსთხოვდა მეუფე პეტრეს?!

გასულ წლებში სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების უმეტესობა მეუფის ხელში ყოფილა. როგორც ამბობენ, ეპარქია ათობით ტრაქტორს ფლობს. ამუშავებენ მიწებს, მოჰყავთ ყურძენი, ამზადებენ ღვინოს და ყველაფერი ეს იყიდება!

მეტიც, მეუფის გარეშე თავის დროზე თანამდებობებზე თურმე ვერავინ დაინიშნებოდა და ახლაც ახერხებს ამას.

2012 წლის არჩევნების მერე მეუფე სალხინოს რეზიდენციაში **ბაჩანა ახალაიას და ხათუნა კალმახელიძეს** მალავდა თურმე. მაშინ ბაჩო ახალაია ერთ მღვდელს უცვნია და უთქვამს: შენ აქ რა გინდაო?! ისე უცემიათ ის მღვდელი, კარგა ხანს ლოგინიდან ვერ დგებოდაო.

მეუფე პეტრე იყო ის კაცი, 2012 წლის მერე თურქეთში რომ გადადიოდა სააკაშვილის სანუგეშებლად.

თურქეთის საბაჟოზე კი მას კარგად იცნობდნენო. თუ რატომ, ამას ქვემოთ იხილავთ.

განცხადებაში, რომელიც მე გადმომცეს და კათოლიკოს-პატრიარქის სახელზეა დაწერილი, ვკითხულობთ:

„მოქალაქეებისთვის, მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უკანონოდ ჩამორთმევის მემკვიდრეობისა და საკუთრების უფლების გაუქმების მიზნით, ეპარქიის სამღვდელოებამ გარკვეულ თანამდებობის პირთა დახმარებით, ხელოვნურად შექმნეს აშკარად ყალბი დოკუმენტური მტკიცებულებები, კერძოდ, გააყალბეს სოფელ სალხინოს მოსახლეობის ყრილობის ოქმი, რომელიც ერთ-ერთ მტკიცებულებად წარუდგინეს სასამართლოს; ამასთან, სოფელ სალხინოს საკრებულო და რაიონის გამგეობა აიძულეს მიეღოთ გადაწყვეტილებები მოსახლეობაზე მიწის რეფორმის კომისიის მიერ საკუთრების უფლებით გადაცემული მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის და მათი საკუთრების უფლების გაუქმებასთან დაკავშირებით. მეუფე პეტრეს დავალებით რაიონის გამგეობამ მოძღვარი სერაფიმეს სარჩელის განხილვის დროს, მარტვილის რაიონულ სასამართლოში, საქმეში მოპასუხედ ჩართო თავისი წარმომადგენელი, რითაც სასამართლოზე მოახდინა გარკვეული სახის ზეწოლა. მეუფე პეტრემ ყველაფერი იღონა მოსახლეობის საჩივრების განუხილველად დატოვებასთან დაკავშირებით. ქ. მარტვილის გამგეობის მიერ კულტურული ღონისძიებების ეგიდით ჩატარებული სამუშაოების დროს დიდი ოდენობით სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვისა და მითვისების ფაქტებზე, აგრეთვე ტყის ფონდის განადგურების შესახებ საჩივრებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ, როგორც მარტვილის, ისე სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის მოსამართლეები იძულებულნი გახდნენ ანგარიში გაეწიათ **მეუფე პეტრესა და ოთარ და ჯაბა ჯიქიების** ადმინისტრაციულ საქმეებზე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით მიეღოთ და დაედგინათ აშკარად უკანონო გადაწყვეტილებები და განაჩენები, რომლებითაც მოქალაქეებს ოთარ და ჯაბა ჯიქიებს უკანონოდ გაუუქმდათ საკუთრების უფლება მათ კანონიერ საკუთრებაში არსებულ მოძრავ ქონებაზე და ჩამოერთვათ ეს ქონება“.

ახლა მოვუსმინოთ ეკონომიკის დოქტორს, არასამთავრობო ორგანიზაციის „უძრავი ქონების დაცვის კომიტეტის“ ხელმძღვანელს, მარტვილის მკვიდრს, ბატონ **ოთარ ჯიქიას**:

— „მრავალგზის მივმართე მაღალი თანამდებობის პირებს. საქართველოს პრეზიდენტს ექვსჯერ გავუგზავნე თხოვნა, ვინმეს განეხილა ჩემი საკითხი. პასუხი არსაიდან არ მიმიღია. სალხინოში მიურატების სასახლის ეზოში მაქვს გატარებული ბავშვობა. მეუფე პეტრეს მოსვლამდე, ჯერ კიდევ 2000 წელს მარნის სახურავის გადახდა უნდოდათ და იმაზე ბევრი ვიბრძოლე. ძალიან მიყვარს იქაურობა და როგორც კი შესაძლებლობა გაჩნდა, ტერიტორია იჯარით ავიღე იმ მიზნით, რომ იქ გამეშენებინა ოჯალეშის ჯიშის ყურძენი. ხელშეკრულებაშიც ასე მივუთითეთ — მიწის ფართობი იჯარით ოჯალეშის გასაშენებლად გადმომეცემოდა მე. მართლაც, მიწის ფართობი ბალანსიდან ბალანსზე გადმომეცა.

მანამდე კი, 1997 წელს, სოფელში ყრილობა ჩატარდა, სალხინოს დადიანების რეზიდენცია 7 ჰა-მდე ფართობი ეკლესიას გადაეცესო.

სოფელი ამბობს, რომ არავითარი ყრილობა არ ჩატარებულა. ის 7 ადამიანი, ვინც ხელს აწერს ოქმს, ამბობენ: ჩვენი ხელმოწერა არის, ოღონდ ჩვენ ამ ოქმზე ხელი არ მოგვიწერიაო. ყრილობის ჩატარება არც არქივით დასტურდება. როგორც ამბობენ, ხელმოწერები გაყალბებულია.



სოფ. სალხინოს მარანი

სასამართლომ დაამტკიცა, რომ მიწა ჩემია და არ უნდა ჩამომერთვას. საჯარო რეესტრი კი მართმევს და უფორმებს მეუფე პეტრეს.

უზენაესი სასამართლო საქმეს ხელს არ კიდებს, რადგან, ჩემი აზრით, საკითხი საპატრიარქოს ეხება და ასეთ დავებს ყველა არიდებს თავს. მით უფრო, რომ უზენაესს აქვს საქმის თავიდან აცილების უფლება.

თავის დროზე პრესაშიც გავრცელდა ინფორმაცია და ახლაც ლაპარაკობენ, მარტვილში 900 000 კუბომეტრი ხე-ტყე როგორ გაზიდა ქვეყნის გარეთ მეუფე პეტრემ. 1 კუბომეტრ გამზადებულ მასალას 3-4- კუბური მეტრი ხე მასალა სჭირდება.

ამ ბიზნესით მილიარდზე მეტი დოლარის ხე-ტყე არის გატანილი ქვეყნის გარეთ მარტვილიდან, მაშინ, როცა მარტვილის ბიუჯეტი, თუ არ ვცდები, 600 000 ლარია. მეუფე პეტრე არის ამ საქმიანობის „კრიშა“, ანაფორით აცილებს მანქანებს თურქეთის საზღვარზეო. ამბობენ, მეუფე იმდენად ცნობილი იყო მებაჟეებისთვის ნაციონალების დროს, რომ არც კი აჩერებდნენ საბაჟოზე, შეუმოწმებლად გადადიოდა საზღვარზეო.

რამდენიმე ხნის წინ ჩემმა ახლობელმა ხრეში გამომიგზავნა და ჭიშკრის წინ გზა გავაკეთე. ცოტა ხანში ერთი ნაცნობი მომადგა მოტოციკლეტით — ორი ტომარა ხრეში მომეცი, კაცობას გაფიცებო. გამიკვირდა. ჩემთან რა გინდა, ტეხურაზე წადი-მეთქი, ვუთხარი. იქ ვინ მიგიშვებს, ჯარიმას მოგაწებებენო, — მიპასუხა. შპს მეუფე პეტრემ სხვას გადაუფორმა, სინამდვილეში კი, მისია. იქედან ხრეშს კი არა, წვეთ წყალსაც ვერ წამოიღებ მეუფის უკითხავადო“.

როგორც აღმოჩნდა, მეუფეს მარტო ჯიქიას ნაკვეთისთვის არ დაუდგამს თვალი, იგი აქტიურად იბრძოდა მარტვილელი **ზურაბ გაბისონიას** კანონიერ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იძულებით დათმობა-ჩამოსართმევად.

მის სახელთან აკავშირებენ სოგელ სალხინოში მდინარე ტეხურაზე გადებული რკინის ძველი ხიდის დაშლას, დაჭრას და ჯართში ჩაბარებას. მოძღვრები ხელმძღვანელობდნენ თურმე ხიდის რეკონსტრუქციას. მოსახლეობისთვის უთქვამთ: მიდით, მეუფეს უთხარით რაიმე პრეტენზია თუ გაქვთ. ჩვენ მის დავალებას ვასრულებთო. ხიდი ჯართად, 15 000 ლარად გაყიდულა. ფული კი მეუფის ჯიბეში.

2011 წლიდან ითხოვენ თურმე მარტვილელები მარტვილის წყალკანალში რეკონსტრუქციისთვის გაწერილი 3 მლნ ლარის ბედის გარკვევას. აქაც მეუფის ხელი ურევიაო. მან მიითვისა ამ პროექტის დიდძალი თანხა და სამუშაოები სათანადო დონეზე არ შესრულებულაო.

მარტვილის ნაგავსაყრელის მოსაწყობად გამოყოფილი 100 000 ლარის მითვისებაზეც აქტიურად საუბრობენ, მაგრამ, როგორც იტყვიან, შეაყარე კედელს ცერცვი.

**გია ჯიჯელავა**, სოფ. სალხინოს საკრებულოს უფროსი სპეციალისტი, მარტვილის მკვიდრი მოგვითხრობს:

— სოფელ სალხინოს მკვიდრი გახლავართ, ჩემი ოჯახი არის ძალიან მორწმუნე. ცხონებული დედაჩემი ბავშვობიდან ეკლესიურად მზრდიდა. უამრავი ადამიანია, ვინც უკმაყოფილოა მეუფე პეტრეს თვითნებობით, მაგრამ ხმას ვერ იღებენ.

მოსვლის დღიდან რომელი მოძღვარიც მეუფეს არ დაემორჩილებოდა, აძევებდა ეპარქიიდან.

**მეუფე სერაფიმე (ჯოჯუა)** ფილოსოფოსი კაცი იყო, პოლიტიკური ნიშნით არავის არჩევდა, მაგრამ რაც მოვიდა ეპარქიაში მეუფე პეტრე, დაიწყო გარჩევა ნაციონალისა და „ოცნების“ მხარდამჭერების.

ერთმა ადგილობრივმა ბიზნესმენმა სალხინოს სკოლა-ინტერნატს ექსკურსიისთვის 1000 ლარი აჩუქა. ეს ამბავი რომ მეუფემ გაიგო, საყვედური უთხრა ბიზნესმენს: ეს ფული ჩემთვის უნდა მოგეცა და მე მივცემდი სკოლას, რამდენიც საჭირო იქნებოდაო.

სოფელში ქელეხის სუფრაზე იგივე ბიზნესმენმა მინერალური წყალი „სნო“ აჩუქა ჭირისუფალს. მეუფემ იკითხა, ეს წყალი ვინ მოიტანაო? იმ ბიზნესმენმა იფიქრა, დამლოცავს ამ სიკეთისთვისო და მე მოვიტანეო, უთხრა. განრისხდა მეუფე პეტრე: როგორ გაბედე „სნოს“ მოტანა, როცა მარტვილის წყალი გვაქვს აგეროო. აიღო ბოთლი და 70 კაცის თვალწინ კედელს მიახეთქა, რადგან მარტვილის წყალიც მის ხელშია. მერე ამ ბიზნესმენს ისიც უთხრა: შენ მარტვილელი არ ხარ, საიდანაც არის შენი გვარის ფუძე, იქ წადი, მარტვილს თავი დაანებეო.

თქვენ იცით, საააკაშვილის სურათი რომ ეკიდა ხატებთან წლების განმავლობაში?!

ნაციონალების შიში ისედაც ჰქონდა მოსახლეობას. დატერორებული იყო ხალხი და ამ შიშს კიდევ უღრმავებდა მეუფე.

2006 წელს, ეპარქიის მმართველად რომ მოგვევლინა, სააკაშვილი ჰყავდა სტუმრად. აიღო მიშამ და კოლმეურნეობის შენობა 1 ლარად გადასცა, მიწები და მამულები თქვენიაო. გაბღენძილი დადიოდა მერე მეუფე, მიშა არის ჩემი მფარველიო.

იმ განუკითხაობაში ძალიან ბევრ მარტვილელს გაუყალბეს საბუთები და წაართვეს მიწის ნაკვეთები.

ეს კაცი საეკლესიო პირი კი არა, არის ბიზნესმენი, ფლობს დიდძალ მიწის ნაკვეთებს, მონურად ამუშავებს მორჩილებს, ამწყემსინებს საქონელს. საეკლესიო პირებს და მოსახლეობას ამუშავებინებს მიწებს და მოსავალს ყიდის. მღვდელ-მონაზვნებს და ბერებს, ვისაც მეტის მოთმენა არ შეუძლია, გარბიან ეპარქიიდან. ვინც ემორჩილება, იმათ მღვდელი მოუწოდებს — მეუფე პეტრესთვის ვილოცოთო და გალობენ: დღეგრძელი იყოს მეუფე პეტრეო. ამ ლოცვა-კურთხევაში აყვავდა პეტრე და გაღატაკდა მრევლი.

მეუფე მაინც უკმაყოფილოა, რადგან მარტვილის დღევანდელ ხელმძღვანელობას ისეთ კომფორტში არ ჰყავს, როგორშიც ადრე იყო. მაშინ წვეულებები რომ ჰქონდათ ნაციონალებს, ჩამოდიოდნენ მარტვილში, მეუფე იჯდა ბატონივით სუფრასთან. დღემდე ვერ მოუნელებია ის, რომ სტუმრებს მარტვილის ახლანდელი ხელმძღვანელობა მის გარეშე მასპინძლობს.

გახსოვთ, ალბათ, პატრიარქმა **როლანდ ახალაია** რომ დააჯილდოვა. მეუფე პეტრე იყო მაშინ ახალაიას რეკომენდატორი, შეცდომაში შეიყვანა უწმინდესი...

ხალხი მოუთმენლად ელოდება სინოდის გადაწყვეტილებას. თუ ჩვენი ეპარქიიდან არ გადაიყვანენ მეუფე პეტრეს, ხალხი ამას არ მოითმენს.

ეს ადამიანი არის ნაციონალების მომხრე დღემდე. არავის არ უნდა ნაციონალების კაცი, ისედაც ეჯავრება ხალხს მწამებლების და გამაუპატიურებლების მხარდამჭერები.

ჩვენ არ გვინდა ბიზნესმა და პოლიტიკამ ეკლესიაში შეაღწიოს. რწმენა და ლოცვა სხვაა, პოლიტიკა — სხვა.

ხალხს ხმის ამოღების ეშინია.

ზოგი ფიქრობს, დაგვახვედრებს ვინმეს და ჩვენს თავს აცემინებსო.

მე ერთ ტელევიზიაში ვაპირებ ლაპარაკს იმის შესახებ, რაც ახლა გითხარით და თუ მეუფე ჩემს ცემას ვინმეს დაავალებს, ტელევიზიის ინტერვიუ და ეს საუბარი ერთად ჩამითვალოს და ერთი ცემა მაკმარონ...

სოციალურ ქსელში ეპარქიის ერთი მონაზონი ჩემს მეუღლეს წერს: გია ჯიჯელავა შენი კანონიერი ქმარი არ არის და უნდა გრცხვენოდესო. ოჯახს მინგრევენ თუ რა არის, ვერ გავიგე.

მერე ჩემმა უფროსმა შვილმა მისწერა: ორი შვილი ვყავართ ჩვენს ოჯახს და რატომ წერთ, დედაო, ასეთ რამეებსო. თქვენი თვალით განახებთ ყველაფერს, რასაც ახლა ვამბობ.

პატრიარქი რომ იყო მარტვილში ჩამობრძანებული, მაშინ თქვა: გიორგი ჭყონდიდელის ძეგლი უნდა აღიმართოს აქო და ადგილიც მონიშნა, დიდი ლოდიც დადეს იმ ადგილას. მეუფეს დიდად არ ანაღვლებს პატრიარქის სიტყვები. ამ ამბიდან ერთ კვირაში საღორე და საძროხე ააშენებინა იმ ადგილის სიახლოვეს...

ამას ყველგან ვლაპარაკობ, ამიტომ ეკლესიიდან განკვეთილი ხარო, მეუბნებიან. „ხევისბერი გოჩაში“ რომ არის — მწყურვალს ნახავ, წყალი არ დაალევინო, მშიერს ნახავ, პური არ მიაწოდოო, ისე ვყავარ მეუფეს გამოცხადებული.

ახლა ზოგიერთი იტყვის, რასაც წერთ და ლაპარაკობთ, მეუფე პეტრეზე, მისი დისკრედიტაციისთვის, სახელის გასატეხად აკეთებთ, მეუფის მტრები ხართო, მაგრამ ადამიანი საკუთარ თავს რომ გაუკეთებს, ისეთ მტრობას სხვა ვერ უზამს. პატიოსანი ადამიანი „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერი როგორ უნდა იყო. ნახევარი სამეგრელო ციხეში ჩაყარეს, ქალებს ვინღა იტყვის, კაცები გააუპატიურეს, მარტო სამეგრელოდან „ნაცმოძრაობის“ ბოგინის პერიოდში 300-ზე მეტი ადამიანია უგზოუკვლოდ გაუჩინარებული, აწიოკებული, ფსიქიკაშერყეული ადამიანების მეუფე იყო **პეტრე ცაავა** 2006 წლიდან და კიდევ ნაცებს აფარებდა ხელს, რეზიდენციაში ჰყავდა ჩაფუთნული ბამბა-აბრეშუმში საპატიო სტუმრები, დილით საკმევლის სუნით აღვიძებდა მაგ აღვირახსნილებს და კიდევ არაფერი ვთქვათ, კიდევ არ ამოვიღოთ ხმა ამ ქვაბავაზაკის სამხილებლად?!“

**„საქართველო გადარჩება თუნდაც იმიტომ, რომ საპატრიარქოში ათი კაცი მაინც მოიძებნება წესიერი, პატიოსანი, ღვთის მოშიში მსახური. მე მხოლოდ უღირსნი არ მსურს ეკლესიაში ვიხილო, რადგან ეკლესიამ თვითონ არ მოიკვეთა ავაზაკნი. მე გავაკეთე ეს“, —** წერდა წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი რუის-ურბნისის შემდეგ.

ვინ მოიკვეთს ავაზაკებს საქართველოს ეკლესიიდან თუ არ ჩვენ, მრევლი?!

მეუფე პეტრეს პატრიარქობა ელანდება თურმე.

როგორც ამბობენ, ახლაც საქართველოს ხელისუფლების გადატრიალებაში სიამოვნებით მიიღებს მონაწილეობას და აქტიურადაც არის ჩართული ამ საქმეშიო.

პატრიარქობა სხვა მეუფეებსაც ესიზმრებათ, რამდენადაც ვიცი და მომდევნო ნომრებში მათ სიზმარ-ცხადზე კიდევ იხილავთ ვრცელ წერილებს.



**რეზიდენცია სალხინოში**

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

**P.S. სინოდის სხდომა, რომელსაც ასე ელოდნენ მარტვილელები, გასულ კვირას შედგა. მეუფე პეტრე საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ დირექტორობიდან მოხსნეს. გავრცელდა ინფორმაცია, რომ პატრიარქმა სხდომაზე მეუფე პეტრეს ჭყონდიდის ეპარქიიდან განრიდების საკითხიც დააყენაო, მაგრამ მეუფე პეტრე, ჯერჯერობით, კვლავ რჩება ეპარქიის მმართველად, ოღონდ პრესასთან ურთიერთობა ეზღუდება. რამდენად შეძლებს მიტროპოლიტი პატრიარქის კურთხევის შესრულებას, შეუძლებელია ვივარაუდოთ. ჩვენ კი იმედი გვაქვს, მეუფე გამოძებნის დროს „საერთო გაზეთის“ მკითხველებისთვის და ინტერვიუზე დაგვთანხმდება.**

# მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ" N1 2017

## ებრაელ მაფერკანტის მოწმობა

მაფერკანტი სინედრიონის (ებრაელთა მთავრობის) ერთ-ერთი წევრი იყო და მონაწილეობდა იესო ქრისტეს სიკვდილით დასჯაში, იგი ხაზინადარი იყო. სწორედ მისი ხელიდან მიიღო იუდამ ფული გამცემლობისთვის, მაგრამ როცა იესო ქრისტეს აღდგომის შემდეგ იუდეველთა შორის განგაში ატყდა, მაფერკანტი სინედრიონის წევრთაგან პირველი მივიდა მოვლენების ადგილზე საქმის გამოსაძიებლად და დარწმუნდა, რომ მკვდრეთით აღდგომა ნამდვილად მოხდა. ეს, ყოველივე აღწერილია მის მიერ თხზულებაში „პალესტინის მმართველთათვის", რომელიც აღიარებულია ერთ-ერთ ღირებულ და უტყუარ წყაროდ პალესტინის ისტორიისთვის.

რომის ისტორიული ლიტერატურის უდიდესი მკვლევარის, აკადემიკოს ი. ვ ნეტუშილის (1850-1928 წწ) გამოთვლით. მთლიანობაში, იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შესახებ სავსებით საიმედო მოწმობების რაოდენობა ორას ათს აღემატება, ჩვენი გამოთვლით კი, ეს რიცხვი უფრო დიდია, 230-ს აღემატება, რადგან ნეტუშილის მონაცემებს უნდა დავუმატოთ ის ისტორიული ძეგლები, რომლებიც მისი ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ იქნა აღმოჩენილი.

## სადუკეველთა უღელი

ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე ებრაელი ერი ორი ძირითადი, ერთმანეთთან მტრული კასტის, ორი შეურიგებელი იუდაური სექტის — ფარისევლებისა და სადუკეველების უძლიერესი ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, რომელთა შორისაც დღემდე გრძელდება კონკურენცია.

დღეს, როცა უკვე შორს აღარ არის ანტიქრისტეს გამეფება (რომელსაც ისინი თავიანთ „მესიად" მიიჩნევენ) ქრისტესაგან და მისი ეკლესიისაგან განდგომილ მთელ კაცობრიობაზე, მსოფლიო ამ ორ, ძალაუფლებას მოწყურებულ სექტას აქვს დაპყრობილი და განაწილებული.

იესო ქრისტეს არა ერთგზის გაუფრთხილებია თავისი მიმდევრები მათში ამ ღვთის საწინააღმდეგო და დამღუპველი სწავლებების დანერგვის საშიშროებაზე: ჰრქუა მან კრძალვად... მოძღურებისაგან ფარისეველთაისა და სადუკეველთაისა" (მათე 16,12) ახლა კი, მეორედ მოსვლის წინ, ჩვენ ვხედავთ ფარისეველთა უღელს დასავლეთში და სადუკეველთა უღელს — აღმოსავლეთში.


მაცხოვრის ხელის ანაბეჭდი

სადუკევლური — სახარების ტერმინოლოგიით, ანუ ათეისტური ცრუმეცნიერულით, ულმერთო ძალაუფლება რუსეთში ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე იყო ნაწინასწარმეტყველევი ღმერთის მრავალი სათნომყოფელის მიერ. მაგალითად, ბერმონაზონმა აბელ ვასილიევმა იმპერატორ პავლე I-ს გამოუცხადა დინასტიისა და მისი მეფობის ბედ-იღბალი ქვეყნის დასასრულამდე და უთხრა:L „ხოლო რუსეთის სახელმწიფო ბედ-იღბალზე მე ლოცვაში მქონდა გამოცხადებული სამი სასტიკი უღლის შესახებ: თათართა, პოლონელთა და ჯერეთ მომავალ — ულმერთო ურიათა... და სადღა არიან თათრები, თქვენო უდიდებულესობავ? სადღა არიან პოლონელები? ულმერთო ურიათა უღელსაც იგივე მოელის. ამაზე ნუ დაღონდები, მეფევ ბატონო, ქრისტეს მკვლელები თავისას მიიღებენ."

გადავშალოთ „წმინდა წერილი" და უფრო დაკვირვებით განვიხილოთ ეს მებრძოლი იუდაური სექტა ღვთის შუქზე, რათა უკეთ გავიგოთ მისი თანამედროვე მიმდევრების მოქმედებები, სიტყვები და გეგმები.

„ახალ აღთქმაში" ნათქვამია: „იყო შფოთი სადუკეველთა და ფარისეველთა და განივლთა სიმრავლე იგი. რამეთუ სადუკეველნი იტყვიან არა არს აღდგომაი, არცა ანგელოზნი, არცა სული, ხოლო ფარისეველნი აღიარებენ ამას ყოველსა" (საქმე მოციქ. 23, 7-8); სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ესქატოლოგიის სფეროში, როცა სადუკეველები ამბობენ, რომ არ არის მკვდართა აღდგომა (მათე 22,23; მარკოზი 12,18; ლუკა 20,27), ამით უარჰყოფენ არა მხოლოდ სულის უკვდავებას და ანგელოზთა არსებობას, როგორც ღმერთის ერთგულთა, ასევე დაცემულთა, არამედ საერთოდ არაფრის გაგონება არ სურთ საუკუნო ცხოვრების შესახებ ღმერთთან.

ამიტომაც, ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ სფეროში სადუკეველები ადამიანის შეუზღუდავი თავისუფლების დამცველები და მომხრეები არიან, ფიქრობენ რა, რომ ყველაფერი მის „თავისუფალ ნებაზეა" დამოკიდებული და არა ღმერთის განგებულებაზე.

რუსეთის დამპყრობი სადუკეველების უკვე მესამე თაობა თავს გვახვევს სწავლებას უანგარო სამსახურის შესახებ არა ღმერთის, არამედ ადამიანისადმი; და არა სამარადისო სიკვდილის შიშით ცოდვილთათვის და საუკუნო ნეტარების აღთქმით, არამედ ერთადერთი ქვეყნიური ჯილდოს, ცოდვიანი თვითნებობის სიტკბოების დაპირებით, რომელიც პრაქტიკულად განდევნის ღმერთს სადუკეველთა მონის ცხოვრებიდან.

მათი სწავლება მეტისმეტად მიმზიდველია ნებისმიერი ადამიანისთვის რომელსაც ქედმაღლური და თვითნებური აზროვნებისკენ აქვს მიდრეკილება, მიწიერი „ტკბობა" სწყურია და რომელიც წარმართულ „სამართლიანობას" ეძიებს.

როგორც ვხედავთ, ღვთის სიტყვის თანახმად, ფარისევლობა, რომელსაც დასავლეთის მთელი სამყარო უპყრია ხელთ, არის იუდაური სჯულისმიერი ნაციონალიზმის მახინჯი გამოხატულება, სადუკევლობა კი რომელმაც აღმოსავლეთის ხალხები დაიმონა და რომელიც ფარისევლობის სრული ანტიპოდია — წარმოადგენს კოსმოპოლიტური უსჯულო ინტერნაციონალიზმის წარმართულ გამოვლინებას.

რუსეთი მკვდრეთით აღდგება უფლისთვის და სირცხვილეულ-იქმნებიან მისი მტრები!"

აკადემიკოსი ბელიცკი იქით იყოს და — თუ არ არსებულა, ვის საფლავს ახადეს მარმარილოს ფილა 500 წლის შემდეგ გასულ 2016 წელს?

როგორც **Nacional Geographic** იუწყებოდა, კვლევის მიზანს უფლის საფლავის პირვანდელი სახის შესწავლა წარმოადგენს. აღნიშნული


მაცხოვრის საფლავი

კვლევა უფლის საფლავის სამლოცველოში მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოების ფარგლებში ტარდება და ყველა ჩატარებულ კვლევით სამუშაოს ვიდეოზე გადაიღებენ, რომელსაც სატელევიზიო დოკუმენტური ფილმის სახეს მისცემენ. რაც შეეხება მარმარილოს ფილის აღებას, ამ მომენტის ნახვა უკვე შესაძლებელია ინტერნეტ-სივრცეში.

არქეოლოგი ფრედერიკ ჰიბერტი: — „როდესაც მარმარილოს ფილა ოდნავ გადავწიეთ, დავინახეთ, რომ მის ქვეშ არსებული სივრცე ქვებით საკმაოდ მჭიდროდ იყო ამოვსებული. ამ ფაქტმა ძალიან გაგვაოცა. ჩვენ წინ ხანგრძლივი სამეცნიერო ანალიზი გველის რომლის შემდეგ შევძლებთ ვიხილოთ იმ ქვის პირვანდელი სახე რომელზეც, გადმოცემის თანახმად, უფალი დაასვენეს."

(როგორც ცნობილია, საფლავზე მარმარილოს მძიმე ფილის დადება 1555 წელს გახდა საჭირო, რადგან მრავალი მომლოცველი საფლავის ქვის ნაწილის წაღებას ცდილობდა.)

მხოლოდ თვალის გადავლებაა საჭირო ახალი აღთქმის პირველი ოთხი წერილისთვის. სახარების მწერლებმა დაინახეს რამდენად მნიშვნელოვანი იყო იესოს სიკვდილთან დაკავშირებული ფაქტები და სწორედ ამიტომაც აღნიშნა ხაზგასმით მოციქულმა პავლემ: — „...ხოლო თუ ქრისტეზე იქადაგება, რომ ის აღდგა მკვდრეთით, როგორღა ამბობს ზოგიერთი თქვენგანი, არ არის მკვდრეთით აღდგომაო? მკვდრეთით აღდგომა თუ არ არის, ქრისტეც არ აღმდგარა. ხოლო თუ ქრისტე არ აღმდგარა, ჩვენი ქადაგებაც ფუჭია და ფუჭია ჩვენი რწმენაც. მაშინ ჩვენ ვიქნებოდით ღვთის ცრუ მოწმენი, რადგან დავამოწმებდით ღმერთზე, რომ მან აღადგინა ქრისტე, რომელიც არ აღუდგენია, თუ მართლაც არ აღდგებიან მკვდრები... რადგან თუ მკვდრები არ აღდგებიან, არც ქრისტე აღმდგარა, ხოლო თუ ქრისტე არ აღმდგარა, თქვენი რწმენაც ფუჭია და კვლავ თქვენს ცოდვებში ხართ...… მაშინ ისინიც დაღუპულან, რომელთაც ქრისტეში განისვენეს. Dდა თუ ჩვენ მხოლოდ ამ ცხოვრებაში ვართ ქრისტეს მოიმედენი, ყველა ადამიანზე საცოდავნი ვყოფილვართ, მაგრამ მკვდრეთით აღდგა ქრისტე, განსვენებულთა მთავარი. (1 კორინთელთა 15:12-20)


იესოს აღდგენილი სახე

სახარება ქრისტეს აღდგომით იწყება. ქრისტიანობა არ არის უბრალოდ, ეთიკური სისტემა ან სავარაუდო ფილოსოფია. იგი არც არგუმენტების ხელოვნურ და უცნაურ წყობაზეა დაფუძნებული. მისი ფესვები ისტორიულ მოვლენებშია ფესვგადგმული და ცენტრალური ისტორიული მოვლენა იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომაა.

ადრეული ეკლესიის ქადაგებებში — ორმოცდამეათე დღეს პეტრემ ძლიერად იქადაგა (საქმეთა 2:14-36) რომელშიც განაცხადა „რისი მოწმენიც ჩვენ ყველანი ვართ". რა ფაქტის შესახებ საუბრობდა? პეტრეს ამ ქადაგების დროს სულიწმინდის გადმოღვრას დიდი შფოთვა მოჰყვა ხალხში. პეტრე ამ გამოვლინებას იმ ძალის წყაროს დამტკიცებად თვლიდა რომელიც ცოცხალი ქრისტე იყო (საქმეთა 2:32). საქმეთა წიგნში მოციქულთა ქადაგებებში ისევ და ისევ მეორდება ქრისტეს აღდგომის შესახებ საუბარი.

რომაელთა (8:11) არის დადასტურება, რომ ვინაიდან ქრისტე მკვდრეთით აღდგა, ერთ დღეს მისი მორწმუნეებიც აღდგებიან. უკვდავობის რწმენა იმის რწმენაა, რომ სიკვდილი არ ამთავრებს ადამიანის არსებობას. ქრისტეს აღდგომა გარანტიაა იმისა, რომ სიკვდილი დამარცხდა.

## იესოს სიკვდილის რეალობა

ქრისტიანული რწმენა ისტორიულ მონაცემებზეა დაფუძნებული. ჩვენ არ მოგვეთხოვება ისეთი რამის რწმენა, რასაც დამამტკიცებელი საბუთი არ გააჩნია. იესოს აღდგომის ძირითადი საკითხი მისი სიკვდილის რეალობიდან იწყება და რა სამხილები არსებობს იმისა, რომ იესო მართლა არსებობდა და მომკვდარა კიდეც?

სახარების ყველა ავტორი გასაგები ენით ამბობს რომ იესომ ფიზიკური სიკვდილი განიცადა. მათე ამბობს (27:50) რომ იესომ „სული განუტევა". იგივეს ამბობს იოანე (19:30) „მიიდრიკა თავი და სული განუტევა"; მარკოზი (15:17) — „იესომ ხმამაღლა შესძახა და სული განუტევა" და იგივეს ამბობს ლუკა. იესოს სიკვდილზე საუბრობენ ეპისტოლეების ავტორებიც: რომაელთა 5:6-8, 1 კორინთელთა, 2 კორინთელთა, გალათელთა, ეფესელთა, ფილიპელთა, კოლოსელთა, თესალინიკელთა, ტიმოთეს, ებრაელთა, პეტრეს და იოანეს 3:16.

მთელ ახალ აღთქმაში უმნიშვნელო მინიშნებაც კი არ არის იმისა, რომ რომელიმე მოწმე არ იყო დარწმუნებული მისი სიკვდილის ფაქტში. უპირველესი მოწმე ასისთავი იყო, რომელიც სასჯელის აღმასრულებელთა ბრიგადას ხელმძღვანელობდა. Mმისი ნათქვამიც „ჭეშმარიტად ღვთის ძე იყო ეს კაცი!" (მარკოზი 15:39) თავადვე მოიცავს სიკვდილის დადასტურებას, რადგან იგი იესოს შესახებ წარსულ დროში საუბრობს.

იოანეს გადმოცემით, არსებობდა კიდევ ერთი თვითმხილველი, რომელიც იესოს სიკვდილს ადასტურებდა. მასში დეტალურად არის აღწერილი იესოს ფერდის განგმირვის მომენტი მისი სიკვდილის დასაჩქარებლად — მისი ფერდიდან სისხლი და წყალი წამოვიდა. სისხლის და წყლის განცალკავება აშკარა მანიშნებელია მისი სიკვდილისა. Aაღარ გახდა საჭირო რომ ჯარისკაცებს მისთვის წვივებიც გადაემტვრიათ, რადგან ის უკვე მკვდარი იყო...

იოსებ არიმათიელიც იესოს სიკვდილის მოწმე იყო. როდესაც მან იესოს გვამი გამოითხოვა დასამარხად, პილატემ ასისთავისგან გამოითხოვა დასტური, ნამდვილად მკვდარი იყო თუ არა იესო, რადგან ჯვარცმულები ზოგჯერ სამ დღემდეც კი ცოცხლობდნენ სანამ სულს განუტევებდნენ. მარკოზი (15:43-45) ამბობს, ასისთავმა მოახსენა, რომ ჯვარცმა მართლაც დასრულდა, იესო მკვდარი იყო.

იესოს სიკვდილის მოწმეები იყვნენ ასევე: მარიამი, იესოს დედა, მისი და სალომე, მარიამ მაგდალინელი და სავარაუდოდ კიდევ ერთი ქალი, რომელსაც ასევე, მარიამი ერქვა. ისინი იესოს აგონიისა და სიკვდილის მოწმეები იყვნენ. ისინი იქ იმყოფებოდნენ როდესაც იესოს სხეული ჯვრიდან ჩამოხსნეს და სამარხში მიიტანეს (მათე, მარკოზი, ლუკა, იოანე) სწორედ ეს ქალები მივიდნენ კვირის პირველ დღეს და სპეციალური ნელსაცხები მიიტანეს იესოს სხეულისთვის, რაც გასაოცარი უნდა იყოს...

არცთუ დიდი ხნის წინ, ახალი ტექნოლოგიების საშუალებით მეცნიერები შეეცადნენ იესოს რეალური სახის აღდგენას. რამდენად საჭირო იყო აღნიშნული ქმედება, გადაჭრით ძნელი სათქმელია, თუმცა დოკუმენტური ფილმის ნახვა უკვე შესაძლებელია და „სახეც" დადებულია...

(გაგრძელება იქნება)

# შავი მზე, შავი ვარსკვლავები და შავი არისტოკრატია

**(დასასრული, დასაწყისი იხ. „სგ“ N7 2017)**

1583 წელს ვენეციაში გააფრთებული ბრძოლა მიმდინარეობდა ძველ და ახალ სავაჭრო-არისტოკრატიულ სახლებს შორის. ახალგაზრდებს ესმოდათ, რომ ძველი ვენეციის დრო ამოიწურა, ის კარგავდა თავის მნიშვნელობას. ამიტომ ახალმა თაობამ გადაწყვიტა ერთდროულად გაენადგურებინათ პაპის და ჰაბსბურგის გავლენაც. ამიტომ საფრანგეთის დახმარებით გერმანია უნდა გადაეცათ პროტესტანტი მეამბოხეებისთვის, რომლებიც ბოლოს მოუღებდნენ მას. ძველი თაობა კი ფიქრობდა პაპიზმის ნეიტრალიზებას და მის კონტოლზე აყვანას. საბოლოოდ ახალმა თაობამ გადაწყვიტეს ფინანსები ჰოლანდიასა და ინგლისში გადაეტანათ. „ახალგაზრდა ვენეციელების“ იდეოლოგი იყო ბერი პაოლო სარპი-ევროპის ისტორიის კიდევ ერთი პირქუში პიროვნება. თავისუფლად მოაზროვნე და ჰომოსექსუალი, ანტიქრისტეანი, რომელიც ბიბლიას მხოლოდ გასართობ კრებულად მიიჩნევდა. მისი მეგობარი გახლდათ ჯორდანო ბრუნო რომელიც 1600 წელს ინკვიზიციის განაჩენით კოცონზე დაწვეს. ბრუნო დიდი ხნის განმავლობაში მოწამე, ათეისტი, ნიკოლა კოპერნიკის სწავლების პროპაგანდისტი და იმ „გენიალური მიგნების“ავტორი გვეგონა, რომლის მიხედვითაც გონიერი სიცოცხლე სხვა პლანეტებზეც არსებობს, მაგრამ ამ „უდიდესი“ ადამიანის ცხოვრების გამოკვლევამ აჩვენა, რომ ბრუნოს წინააღმდეგ ინკვიზიციის უმთავრესი პუნქტი გახდა აღვირახსნილი გარყვნილების და სატანიზმის პროპაგანდა...სარპმა დაიწყო ენერგიული და ეფექტური პროპაგანდისტული ომი პაპის წინააღმდეგ მან რამოდენიმე თხზულებაც დაწერა სადაც ეკლესიის არსებობის აუცილებლობა ეჭქვეშ დააყენა. ინტელექტუალური აგრესიის პარალელურად „ახალვენეციელთა“ეკონომიკური ინტერვენციაც მიმდინარეობდა. ისინი დიდ იმედებს პროტესტანტულად განწყობილ ვაჭართა კლასზე ამყარებდნენ და არა მეფეზე. ჯერ ლორდი ლესტერი აფუძნებს პირველ ვენეციურ კომპანიას ბრიტანეთში, ამ კომპანიას ვენეცია უთმობს რამოდენიმე უმნიშვნელოვანეს სავაჭრო მარშრუტს. 1581- წელს ბრიტანეთში, ვენეციელთა კონტროლქვეშ აღმოცენდა სავაჭრო კომპანია, რომელიც მყარდება აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში და ღებულობს მნიშვნელოვან პრივილეგიებს თურქეთის ხელისუფლებისგან. შემდეგ ორივე ეს კომპანია გაერთიანდა და 1600 წელს წარმოიქმნა უზარმაზარი ოსტ-ინდური კომპანია (ოიკ)-უნიკალური წარმონაქმი, რომელსაც ყავდა საკუთარი არმია და ფლოტი, სპეცსამსახურები და დიპლომატები. სწორეს აღნიშნული კომპანია უზრუნველყოფდა ინგლისელთა ექსპანსიას ინდოეთში და მაშინ მიეცა დასაბამი დიდი ბრიტანეთის კოლონიურ იმპერიას.“ოიკ“-ის პირველი მმართველი გახლდათ თომას სმაიტი-პადუის უნივერსიტეტის პირმშო რომელიც ერთ-ერთ ვენეციურ გავლენის ცენტრს წარმოადგენდა. გავა კიდევ ოთხმოცი წელი, სანამ ინგლისში „ვენეციური პარტია“ სრულად განმტკიცდება. სარპი ბრიტანეთში



ერთდროულად ქმნის ძლიერ „აზროვნების ფაბრიკას“ და „ლობისტურ ჯგუფს“, რომლებმაც საუკუნით ადრე განსაზღვრეს მრავალი რამ ბრიტანულ ისტებლიშმენტში. ბრიტანეთი თანდათან გარდაიქმნა არა მარტო ინდუსტრიალიზმის აკვნად, მსოფლიოს სახელოსნოდ და კაპიტალისტური წყობილების ლიდერად, არამედ მევახშეობის, მონებით ვაჭრობის და ბნელი კულტების საძირკველად.“ ადამიანის, როგორც ღმრთის ხატის უარყოფა“ „ახალ ეპოქას“ საფუძვლად ედება. ეს გახლდათ სარპის ჩანაფიქრი და პროგრამა. არსებითად ამით დასრულდა ინგლისური სულის დანგრევა. ვენეციის შავი არისტოკრატია და ვენეციური მეთოდები ინგლისში საბოლოოდ გადაბარგდა. მრავალი მკვლევარის აზრით, მეჩვიდმეტე საუკუნის ინგლისი იყო რელიგიური და პოლიტიკური თავისუფლებისთვის ბრძოლის დასაწყისი, რომელშიც მასონები უმთავრეს და ხელმძღვანელ როლს თამაშობდა. ამტკიცებენ, რომ ამ ბრძოლას საფუძვლად ედო სინდისის თავისუფლების საკითხები. ინგლისის რევოლუციური მოვლენების უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა ამ ქვეყანაში ვენეციის „შავი არისტოკრატიის“ ჩანერგვა, უფრო ზუსტად კი ძალაუფლების დაპყრობა. მათ შეიმუშავეს ინგლისის რევოლუციის დაფინანსებისა, აღსრულების გეგმები და განახორციელეს კიდეც. აღნიშნულის შესახებ ცნობილი ინგლისელი მწერალი და კრიტიკოსი წერდა „ განგებამ ისე ინება, რომ ინგლისი გახდა პირველი ქვეყანა, რომელშიც რევოლუცია მოხდა და რომელთა სერია ჯერ არ დამთავრებულა“. დიზრაელი ასევე ამტკიცებდა, რომ კალვინისტებს ფაქტობრივად თავის ძალაუფლებაში ყავდათ მოქცეული მთელი ქვეყანა და ბრიტანეთის სენატი ფაქტობრივად რაბინთა კომპანიად გადაიქცა. ისააკ დიზრაელი პარალელს ავლებს ინგლისისა და საფრანგეთის რევოლუციებს შორის. პრესის ტაქტიკა აშკარად რევოლუციას უჭერდა მხარს, ქვეყანა წალეკა რევოლუციურმა ბროშურებმა და პროკლამაციებმა. 1640-1660-წლების პერიოდში მათმა რაოდენობამ ოცდაათ ათასს გადააჭარბა. იგივე მოხდა მოგვიანებით საფრანგეთშიც, იქაც არეულობის პერიოდში გამოდიოდა უამრავი რევოლუციური ხასიათის პლაკატი და ბროშურა. მოკლედ მეჩვიდმეტე საუკუნე ინგლისისთვის დიდი რყევების საუკუნე აღმოჩნდა. ქვეყანაში ბურჟუაზიული რევოლუცია და სამოქალაქო ომი ბობოქრებდა. ინგლისელებმა გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს მეფე ჩარლზ პირველი...ძველ, კეთილ ბრიტანეთში არსებობდა პროლეტართა მთელი არმია, რომლებიც იძულებულნი იყვნენ კაპიკების საფასურად ემუშავა და ნანგრევებში ეცხოვრა. არსებობდნენ დაჩაგრული ირლანდიელები, რომლებსაც მიწები წაართვეს. მუშათა საპროტესტო გამოსვლის მცდელობას ინგლისში კავალერიის ხიშტებითა და ქვემეხთა ცეცხლით ხვდებოდნენ. ამასთან 1928-წლამდე ინგლისში საარჩევნო უფლება არ არსებობდა! ეს იყო ყველაზე ბნელი, პირველყოფილი, გამოქვაბულის კაპიტალიზმის ბატონობის პერიოდი, გამრავლებული ოლიგარქიულ წყობაზე. ის თითქმის სრულიად იმეორებდა შუასაუკუნეების ვენეციას. დიახ, ბრიტანეთი იმ დროს სუპერ-ვენეცია გახლდათ. არსებობდა რა კუნძულებზე, არავის შემოჭრის ეშინოდა, ჰყავდა მცირე ქვეითი სახმელეთო ჯარი, სამაგიეროდ გააჩნდა უზარმაზარი ფლოტილია და დიდი სახსრები. ინგლისელები ‘ვენეციანურად“ ცდილობდნენ ებრძოლათ სხვისი ხელებით და ამისთვის აფინანსებდნენ ევროპის სახელმწიფოებს. ხოლო ევროპაში რაიმე მრისხანე ძალა, რომ არ წარმოქმნილიყო, რომელიც შემდგომში მათ დაუპირისპირდებოდა, ისინი ოსტატურად აგულიანებდნენ ერთმანეთზე ევროპულ ქვეყნებს, შემდეგ კი მხარს უჭერდნენ ერთმანეთს გადაკიდებულ მხარეებს. ინგლისელებმა სახსრები არ დაიშურეს თურქეთისთვის რუსეთის წინააღმდეგ. სანამ რუსები თავში ურტყამდნენ პრუსიელებს, ბრიტანელები ფრანგებს ერეკებოდნენ ინდოეთიდან და კანადიდან. ერთადერთი ყველაზე წარუმატებელი მათთვის გახდა იმპერიისგან ჩრდილოეთ ამერიკის მოწყვეტა. 1804-წელს ტრაფალგარში საფრანგეთის ფლოტის განადგურების შემდეგ, ბრიტანელები უკვე საერთოდ არ უფრთხიან ნაპოლეონის შემოჭრას ლა მანშიდან. იმდროინდელი ტექნიკის პირობებში ამგვარი ოპერაცია შეუძლებელი იყო. ნაპოლეონთან ერთად ინგლისის სასარგებლოდ იბრძოდა „საზარბაზნე ხორცი“ავსტრიელები და რუსები. როდესაც რუსეთის იმპერატორი პავლე პირველი, მიხვდა რომ უნდა დაესრულებინა ინგლისელების დაკრულზე ცეკვა და თითქმის მოელაპარაკა ნაპოლეონს ურთიერთმხარდაჭერაზე, ინგლისმა დააფინანსა გვარდიელთა შეთქმულება პეტერბურგში, რომელსაც სათავეში ინგლისის ელჩი ედგა, შედეგად იმპერატორი პავლე შეთქმულებმა მოკლეს. ინგლისის მხეცური წყობის ქვეშ იდგა იმდროინდელი ინგლისური ფილოსოფია-ლოკის, გობსის და იუმის. თომას გობსი ადამიანურ საზოგადოებათა ისტორიას ხატავდა როგორც ყველას ომს ყველას წინააღმდეგ და მხოლოდ ტირანულ ლევიათან-სახელმწიფოს თუ ძალუძს ადამიანთა ვნებების მოთოკვა. დევიდ იუმი უარყოფდა მორალისა და ტრადიციის აუცილებლობას და სულაც არ გაურბოდა პედარასტიას. სხვათა შორის ეს ვნება საკმაოდ გავრცელებული იყო ინგლისელ არისტოკრატთა შორის. იმდროინდელი პორნოგრაფია, ამბობენ მნახველს აოცებს თავისი უხეშობით და ნატურალიზმით. ეს კი პაოლო სარპის მიერ ჩათესილი მარცვლის ყლორტები გახლდათ. მთელი ეს ფილოსოფია მხოლოდ გამძღარი გონების ფილოსოფია როდია. ინგლისის, ამ ზე-ვენეციის ფილოსოფიასა და პოლიტიკას განასახიერებენ სხვა ფიგურებიც-იერემია ბენტამი, აგენტი და ფილოსოფოს-უტილიტარისტი, ასევე ბრიტანეთის უგვირგვინო მეფე უილიამ პეტი. მათ „გასაცნობად“ ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ბინძური ფურცელი უნდა გადავშალოთ, რომელიც ინგლისის როლზე საფრანგეთის რევოლუციაში მოგვითხრობს...მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ოცდათორმეტი წლის ბენტამი უილიამ პეტიმ დაახლოვა შელბურნის ლორდს, ფაქტობრივად იმ დროის „ბრიტანეთის დოჟს“ და იმ პერიდშივე ჩამოყალიბდა ინტელიჯენს სერვისი-ბრიტანეთის დაზვერვა და ფორინ ოფისი- საგარეო საქმეთა სამინისტრო, სინამდვილეში კი ესეც დაზვერვა და სპეცსამსახური გახლდათ. ორივე სამსახური იქმნებოდა ოსტ-ინდოეთის კომპანიის საიდუმლო კომიტეტის ბაზაზე და ყოველივე ამით დაკავებული იყო უილიამ პეტი. ფილოსოფოსს ფორინ-ოფისში სამუშაოდ იწვევენ, საინტერესოა რა მოეწონა ლორდ შელბურნს ბენტამის? ბენტამისთვის არ არსებობდა არავითარი სხვაობა ადამიანსა და პირუტყვს შორის. ბენტამი ამტკიცებდა, რომ მხოლოდ ტკივილი და სიამოვნება მართავენ ადამიანს:ჩვენ ვცდილობთ გავექცეთ პირველს და მივდევთ მეორეს. სარგებლიანობის პრინციპი, ასევე უმაღლესი სიამოვნებისა და კმაყოფილების მიღწევა-აი, მთელი სიცოცხლის გასაღები. უილიამ პეტი ჭკუას კარგავდა ბენტამზე. მან საკუთარი სახსრებით დაბეჭდა მისი წიგნები ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და გაავრცელა ისინი ევროპაში.

შემდეგ ისინი ამერიკაში წავლენ. ხოლო თუ რა დაემართა ამერიკას, მისი სისხლიანი ისტორიიდან არის ცნობილი.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# ძლიერი რეგიონები ძლიერი


ხარაგაული

## ხარაგაული — სოფელ გედსამანიაში გზის მშენებლობა გაგრძელდა

სოფლის ცენტრალური გზის 3-კმ-იანი მონაკვეთის მობეტონება რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა.

ბეტონის საფარის დაგება შარშან დაიწყო, მაგრამ სამუშაოების შესრულებაზე პასუხისმგებელმა სამშენებლო კომპანიამ („დალა-73“) ვალდებულების შესრულება ვერ შეძლო. ამჟამად გედსამანიაში გზის მშენებლობას ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „მიმდემი“ ასრულებს.

სოფელში გზის რეაბილიტაციის სამუშაოები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ, არჩილ მაღრაძემ, გამგეობის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა, თემურ თაბუკაშვილმა და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსმა გრიგოლ ჭიპაშვილმა დაათვალიერეს.

პროექტის ღირებულება 277 380 ლარია. გზის მობეტონება ივნისის ბოლოს დასრულდება.

## შეხვედრები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან

გამგებლის მიერ დაანონსებული ახალი ინიციატივა — „ერთი დღე სოფელში“ დაიწყო. მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი გამგეობის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად კვირაში ერთ დღეს ხალხთან გაატარებს. პირველი სოფელი, სადაც შეხვედრა გაიმართა, ზემო მაჩხაანი იყო. ნიკოლოზ ჯანიაშვილი ბენაანთ, რობიტაანთ და სხვა უბნების მცხოვრებლებს შეხვდა და ადგილობრივი მოქალაქეებისგან პირადად მოისმინა სოფელში არსებული პრობლემების შესახებ. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. ნიკოლოზ ჯანიაშვილი ზემომაჩხაანელებს სოციალური, ინფრასტრუქტურული თუ სხვა საჭირბოროტო საკითხების უახლოეს პერიოდში მოგვარებას დაჰპირდა.

გამგებლის თქმით, ეს ინიციატივა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მოსახლეობასთან მეტი კომუნიკაციის საშუალებას მისცემს და ასევე დააჩქარებს მათი პრობლემების სწრაფად გადაწყვეტას.

გამგებელი ეწვია სოფლის ბაგა-ბაღსაც, დაათვალიერა შენობა და მის თანამშრომლებს შემოდგომისთვის ბაღის სრულ რეაბილიტაციას დაჰპირდა.

## ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის ილია მზექალაშვილის მიმართვა მოსახლეობისადმი

მოგესალმებით მეგობრებო.

მოგეხსენებათ, ჩვენ მუდმივად ვიმყოფებით თქვენთან უწყვეტ კომუნიკაციაში, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთ თქვენგანს უჭირს რაიონულ ცენტრში ჩამოსვლა, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლებში კვირაში ერთხელ გავმართავ შეხვედრებს ადგილობრივ მოსახლეობასთან. ეს იქნება თქვენი ინტერესების გათვალისწინებით, თქვენთვის მისაღებ ფორმატში გამართული შეხვედრები, სადაც ადგილზე მოვისმენ ყველა თქვენს პრობლემას.

პირველი ასეთი შეხვედრა გაიმართება ხუთშაბათს, 16 მარტს სოფელ გრემში.

## „ჭაქვინჯის ციხის“ გეოლოგიური კვლევა-ძიება

საქართველოს გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებმა ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის პირველხარისხოვანი ძეგლის „ჭაქვინჯის ციხის“ დამცავ ზონებში გეოლოგიური კვლევა-ძიება ჩაატარეს. კვლევის შედეგად დადგინდა კლდოვანი მასების რღვევის პერიმეტრი და განისაზღვრა ეროზირებული ნიადაგის დაზიანების კატეგორია. აღნიშნული ობიექტის გეოლოგიური კვლევა-ძიება აღმოსავლეთ ნაწილში კლდოვანი ნაწილის ჩამოშლამ განაპირობა, რამაც ადგილობრივ მოსახლეობას პრობლემები შეუქმნა, ჩაიხერგა სავალი გზის ნაწილი, ჩამოცვენილმა ლოდებმა კი რამდენიმე საკარმიდამო ეზოს მავთულის ღობე დააზიანა. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ რეაგირებისთვის მიმართა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, რომელსაც ევალება გადარჩენითი ხასიათის პრევენციული ღონისძიებები — გეოლოგიური კვლევა, შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის განსაზღვრის მიზნით საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

## ზუგდიდის გამგეობასა და ტექნოპარკს შორის მემორანდუმი გაფორმდა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ეკოსისტემის განვითარების ხელშეწყობას ითვალისწინებს.

მემორანდუმის ფარგლებში, მხარეები ითანამშრომლებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კერძოდ:

სააგენტო უზრუნველყოფს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში სტარტაპების გენერირებისა და ციფრული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განხორციელებას;

სააგენტოს მიერ დაგეგმილი პროექტების განხორციელების ხელშეწყობას და პროექტებში ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართულობას.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ მამუკა წოწერიამ და „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ავთანდილ კასრაძემ.

თანამშრომლობის ანალოგიური დოკუმენტი ტექნოპარკსა და სამეგრელოს რეგიონის სხვა ადგილობრივ თვითმმართველობებს შორისაც გაფორმდა.

## შუახევი — უჩამბაში სასოფლო ბიბლიოთეკა გაიხსნა

ჭვანის, ზამლეთისა და შუბნის შემდეგ სასოფლო ბიბლიოთეკა გაიხსნა უჩამბაში. ახალ ბიბლიოთეკას შუახევის კულტურის ცენტრის სარაიონო ბიბლიოთეკის სარეზერვო ფონდიდან 500-მდე კლასგარეშე ლიტერატურა გადაეცა.

ბიბლიოთეკას საჩუქრად გადაეცა აგრეთვე კომპიუტერი და უახლოეს მომავალში მიეწოდება ინტერნეტი.

ბიბლიოთეკის გახსნას მუნიციპალიტეტის გამგებელი ტარიელ ებრალიძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე სულიკო თებიძე და სხვა ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

შუახევის კულტურის ცენტრი აქტიურად მუშაობს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან და საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან „აირაქსთან“ სოფლად ბიბლიოთეკის აღდგენაზე. მარტის ბოლომდე ოლადაურის ბიბლიოთეკის აღდგენაა დაგეგმილი.

## რუსთავის მერიის ახალი სოციალური პროექტი სტუდენტებისთვის

რუსთავის მერიის სოციალურ პროგრამას, რომელიც აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული სტუდენტებისთვის მერიისგან ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობის სოციალურ დახმარებას ითვალისწინებს, დაემატა ახალი კომპონენტი — სტუდენტების სწავლის საფასურის სრული ან ნაწილობრივ დაფარვა.

ქალაქის მერიის მიერ ინიცირებულ სოციალურ პროექტს რუსთავის საკრებულომ რიგგარეშე სხდომაზე დაუჭირა მხარი.

სოციალური პროგრამა გავრცელდება იმ სტუდენტებზე, რომლებიც:

რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს;

არიან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილი) წევრები და სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 100 000-ს;

არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები), რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 100 000-ს.

ამასთან, სტუდენტები დახმარებით ისარგებლებენ იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, მათი აკადემიური შეფასების საშუალო ქულა 81 ან მეტია (100 ქულიანი შეფასების სისტემის მიხედვით). პროგრამა ითვალისწინებს მიმდინარე წლის სწავლის საფასურის დაფარვას არაუმეტეს 800 ლარით.


ჭაქვინჯის ციხე

## შეხვედრა გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ დიცში სასმელი წყლის ახალი ქსელის მოწყობა იგეგმება. პროექტის დასრულების შემდეგ მოსახლეობას წყლის პრობლემა აღარ შეაწუხებს. სწორედ სასმელი წყალი იყო ერთ-ერთი იმ საკითხებიდან, რომელთა შესახებაც დიცში ადგილობრივებმა ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს ილაპარაკეს.

შიდა ქართლის რწმუნებულ-გუბერნატორი კახა სამხარაძე და გორის მუნიციპალიტეტის გამგე-

# საქართველოსთვის




ბელი დავით ონიაშვილი დიცში მოსახლეობას შეხვდნენ და მათი პრობლემები ადგილზე მოისმინეს. ადგილობრივები ძირითადად სოციალურ საკითხებზე საუბრობდნენ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა მათთან დეტალურად ისაუბრა იმ პროგრამებზე, რომლებიც სოფლის მეურნეობის კუთხით სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება. ხელისუფლების წარმომადგენლები მინდიაშვილებისა და საღინაშვილების ოჯახებშიც მივიდნენ მათი საცხოვრებელი პირობების ადგილზე გასაცნობად. უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს ადგილობრივი ხელისუფლება დახმარებას დაჰპირდა.

გუბერნატორი და გამგებელი მოსახლეობას სოფელ მერეთშიც შეხვდნენ და ადგილზე მოისმინეს მათი პრობლემებიც.

მხარის გუბერნატორი და გამგებელი, გორის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატთან თემურ ხუბულურთან ერთად, სოფლებში არსებულ პრობლემებს ადგილზე ეცნობიან. მოსახლეობასთან შეხვედრების მიზანია მათი ინფორმირება სხვადასხვა პროექტისა და პროგრამების შესახებ, მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებში ადგილობრივების კიდევ უფრო აქტიურად ჩართვა.

შიდა ქართლის გუბერნატორი კახა სამხარაძე მოადგილეებთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად გორის მუნიციპალიტეტის სამ სოფელში — ტყვიავში, ძევერასა და კარალეთში იმყოფებოდა. შეხვედრას გორის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი, თემურ ხუბულური და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოს უფროსი მამუკა ლომსაძეც ესწრებოდა, რომელმაც შეკრებილ საზოგადოებას სოფლის მეურნეობის პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაცია გააცნო. ხელისუფლების წარმომადგენლები ადგილზე გაეცნენ სოფლების მდგომარეობას და მოსახლეობასთან ერთად განიხილეს მათი საჭიროებები.

ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლებს აუცილებლად მიაჩნიათ უშუალო კომუნიკაცია მოსახლეობასთან, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს ინფორმირებულობასა და საკითხების დროულად გადაწყვეტას. ამავდროულად, მნიშვნელოვანია მოსახლეობის მონაწილეობა საკითხის გადაწყვეტის პროცესში.

## ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲡ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბესიკ ფარცვანია და გამგებლის მოადგილე თენგიზ ფიფია სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან ერთად წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ობუჯისა და მიქავას ადმინისტრაციულ ერთეულებში იმყოფებოდნენ. შეხვედრებზე ისაუბრეს საერთო კრებების გამართვის დეტალებზე. მოსახლეობას მიაწოდეს აგრეთვე ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ.

ობუჯის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობამ პრიორიტეტად დაასახელა ობუჯიჯიხაშკარის ტერიტორიაზე გზების რეაბილიტაცია, საკონჯარიოს უბანში წყალმომარაგების სისტემების მოწყობა და ლეო ქიაჩელის სახლ-მუზეუმის კეთილმოწყობის სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბესიკ ფარცვანიამ ობუჯის მოსახლეობას აცნობა, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში გაზიფიცირების პროცესი ობუჯის ადმინისტრაციული ერთეულიდან დაიწყება. პროექტზე მუშაობა უკვე დასრულებულია და სამუშაოები უახლოეს პერიოდში დაიწყება.

მიქავას ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობა მთავარ პრიორიტეტად ასახელებს გზის საფარის დაგებას. ბესიკ ფარცვანიას განმარტებით, მიმდინარე წელს მიქავას ადმინისტრაციულ ერთეულში ეს პრობლემა სრულად აღმოიფხვრება და ახალი გზის საფარი დაიგება. მუნიციპალური განვითარების სამინისტროსა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტს შორის შეთანხმება უკვე მიღწეულია.

მიქავას ადმინისტრაციულ ერთეულში შეხვედრის დასრულების შემდეგ, ხელმძღვანელმა პირებმა დაათვალიერეს საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები.




# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

**მთვარისა კევლიშვილი.**
**ტელ.:** 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69



* * *

— როგორ ხდება საჯარო ინფორმაციის გაცემა და ამ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა სამართლებრივად?

— საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;

ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება არ ათავისუფლებს საჯარო დაწესებულებას იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მისი დადგენილი წესით გაცემის ვალდებულებისგან.

— საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საჯარო დაწესებულების უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

2. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.

* * *

**ვინ მიეკუთვნება კერძო სამართლის სუბიექტებს?**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

მუხლი 8.კერძო სამართლის სუბიექტები

1. კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება როგორც სამეწარმეო,ასევე არასამეწარმეო, საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის პირების მიმართ.

2. სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით.

3. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.

* * *

**— რა არის ქონება, სამართლებრივი თვალსაზრისით?**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლის მიხედვით, ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.


ტაქსი გამოძახებით
0322 300 308; 0322 450 450; 558 300 088
დაბალი ტარიფები, მაღალკვალიფიციური,
კომფორტული მომსახურება 24 საათის განმავლობაში

# მსოფლიოს ქალაქები, რომლებიც ცხოველების თავდასხმის მსხვერპლი გახდნენ

**ცხოველები ყველგან ბინადრობენ, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ჩვენ მათ გვერდით ვცხოვრობთ და ერთმანეთს ხელს არ ვუშლით. თუმცა ზოგჯერ ისიც ხდება, რომ ისინი ქალაქებს ესხმიან თავს და ზარალს აყენებენ ადამიანებსა და მათ საცხოვრებლებს.**



### 1. ყვავები, კალიფორნია, აშშ

2012 წელს პატარა ამერიკულ ქალაქ კალიფორნიას, რომელიც პენსილვანიის შტატში მდებარეობს, ათასობით ყვავი დაესხა თავს. ქალაქის მცხოვრებლების თქმით, ფრინველები გაუსაძლის ხმას გამოსცემდნენ, რომელიც განუწყვეტლივ გაისმოდა.

მანქანები და ქუჩები სწრაფად დაიფარა მათი სკინტლით, რაც სხვადასხვა ინფექციური დაავადების გავრცელების საფრთხე გახდა. ყვავების ამ თავდასხმის მოგერიება ძალიან დიდი თანხების დახარჯვით მოხერხდა — ისინი ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლით და კვამლის გამოყენებით გააძევეს ქალაქიდან.

### 2. აქლემები, დოკერ რივერი, ავსტრალია

2009 წელს ქალაქ დოკერ რივერში დაახლოებით 6000-მდე წყურვილით გატანჯული და გაველურებული აქლემი შეიჭრა. ადრე მათ აქტიურად იყენებდნენ ტვირთის გადასაზიდად, მაგრამ მას შემდეგ, რაც იქაურებმა მანქანების შეძენა დაიწყეს, აქლემები ბუნებაში გაუშვეს და ისინი ჯოგად ცხოვრობდნენ.

მალე აქლემები უმართავები გახდნენ და ქალაქში შევარდნენ, დააზიანეს ღობეები, ნარგავები და ბევრი პრობლემა გაუჩინეს ადგილობრივებს.

ავსტრალიის მთავრობა იძულებული გახდა, ზომები მიეღო. აქლემებს ვერტმფრენებიდან დაუწყეს დახოცვა. გაველურებული აქლემები ამ ხერხით რამდენიმე წლის განმავლობაში მთლიანად გაანადგურეს.

### 3. ტახები, კუნძული კაკარა, იაპონია

პატარა კუნძული კაკარა იაპონიის არქიპელაგში მდებარეობს. 2016 წლის აპრილში იგი ველური ტახების თავდასხმის ობიექტი გახდა, რომლებმაც ცურვით მიაღწიეს კუნძულ კიუსიუდან. ადგილობრივებს ტკბილი კარტოფილი და გოგრა მოჰყავთ, რამაც ცხოველები მიიზიდა.

საკვების სიმრავლემ ხელი შეუწყო მათ გამრავლებას და ახლა მათი რიცხვი სამასს აღწევს.

ამასთან, ტახებმა გაანადგურეს კამელიის პლანტაციები, რომლებსაც ტურისტების მოსაზიდად ამრავლებდნენ და კუნძულის მცხოვრებლები შემოსავლის გარეშე დარჩნენ. ცხოველების განადგურება კუნძულის რთული რელიეფის გამო ძალიან ძნელია. ხელისუფლების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ თუ ცხოველების განადგურება ვერ მოხერხდა, მაშინ მოსახლეობის ევაკუაცია უნდა განხორციელდეს.



### 4. გველები, ეჯისუ, განა

2016 წლის აპრილში აფრიკაში, განაში, ეჯისუს მუნიციპალიტეტში მდებარე ორ სოფელს შხამიანი შავი გველები შეესივნენ, რომლებიც გარშემო არსებული მცენარეული საფარიდან გამოძვრნენ.

სოფელში გველები თავს აფარებდნენ სახლებს, ტუალეტებსა და სააბაზანო ოთახებს. ამ თავდასხმამ მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია, რადგან ქვეწარმავლებმა, ფაქტობრივად, ისინი სახლებიდან გამოაძევეს.

რეპტილიების დიდი რაოდენობა დახოცეს, მაგრამ ისინი კვლავაც აგრძელებენ ადამიანების დაშინებას. ადგილობრივები თვლიან, რომ ეს ღმერთების სასჯელია, რადგან ახალგაზრდები სოფლის მახლობლად განლაგებულ ბუჩქებში არაკანონიერი სექსით არიან დაკავებული.

### 5. პინგვინები, ბეტი ბეი, სამხრეთ აფრიკა

პინგვინები ყველას უყვარს, მაგრამ ვინც პინგვინების გვერდით ცხოვრობს, ამ ფრინველების მიმართ სხვაგვარი დამოკიდებულება აქვთ. მაგალითად, ქალაქ ბეტი ბეის მაცხოვრებლებს, რომელიც სამხრეთ აფრიკაში მდებარეობს, სულაც არ უყვართ ეს ცხოველები, რადგან განადგურების პირას მისული აფრიკული პინგვინები აქ გასამრავლებლად მიდიან.

პინგვინები ანგრევენ ღობეებს და საშინელი ხმით ღრიალებენ.

ადგილობრივი ხელისუფლება მედგრად ებრძვის პინგვინებს, მაგრამ ქალაქიდან გაძევებული პინგვინები ლეოპარდების მსხვერპლი ხდებიან. მხოლოდ ერთ დღეში ლეოპარდებმა 33 პინგვინი გაანადგურეს.

### 6. სპილოები, ჯაგელოკენი, ლიბერია

დასავლეთ აფრიკის დიდი ნაწილი ებოლას ეპიდემიამ ძალზე დააზარალა, თუმცა მის წინააღმდეგ გამოყენებულ ზომებს უცნაური შედეგები მოჰყვა. ებოლასთან ბრძოლის მიზნით გაანადგურეს აბსოლუტურად ყველა ხე და ბუჩქი ჯაგელოკენის მახლობლად. შედეგად კი სპილოები, რომლებსაც მუდმივი ბინადრობის ადგილი წაართვეს, სოფელში შევიდნენ, გაანადგურეს უზარმაზარ ტერიტორიაზე განთავსებული ყავის პლანტაციები და მთლიანად დაანგრიეს სოფლის მაცხოვრებელთა სახლები.

ახლა ადამიანებიც და სპილოებიც ღია ცის ქვეშ არიან დარჩენილები.

### 7. თეთრი დათვები, ჩერჩილი, კანადა

ჰუძონის ყურეში, კანადაში, ყინული მუდმივად დნება, რის გამოც მცირდება ფართობი, სადაც თეთრი დათვები ნადირობდნენ. 2013 წლიდან ისინი ქალაქებში გამოჩნდნენ. ქალაქ ჩერჩილის მიდამოები ცნობილია იმით, რომ აქ თეთრი დათვები საკვების მოსაპოვებლად მოდიან. ადგილობრივები მათ კვებავენ, მაგრამ ამან ცუდი შედეგები გამოიღო.

თეთრი დათვებს ბოროტი ზნე აქვთ და შიმშილის შემთხვევაში მათ შეუძლიათ ერთმანეთი და ადამიანებიც კი შეჭამონ. 2013 წლიდან დაფიქსირებულია 168 შემთხვევა, როცა თეთრი დათვები ადამიანებს დაესხნენ თავს, მათ შორის ზოგიერთი ტრაგიკულად დასრულდა. მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით ადგილობრივმა ხელისუფლებამ კონტროლი დააწესა ცხოველების პოპულაციაზე და ქალაქ ჩერჩილის მახლობლად თეთრ დათვებზე ნადირობის ნებართვა გასცა.

### 8. ღამურები, ბატმანს ბეი, ავსტრალია

2016 წლის მაისში ახალი სამხრეთ უელსის ქალაქ ბატმანს ბეის თავს დაესხა 100 000 უზარმაზარი ღამურა, რომლებმაც ქალაქის ყველა ხე და მთელი ფართობი დაფარეს. ქალაქის მცხოვრებლები სახლებიდან ვერ გამოდიოდნენ.

საინტერესოა, რომ ეს იშვიათი ჯიშის ღამურაა, რომლის მოკვლაც აკრძალულია და ამიტომ ხელისუფლებას უფლება არ ჰქონდა გამოეყენებინა ძალისმიერი მეთოდები. ქალაქში დაიწყო კამათი თავდამსხმელების განდევნის საშუალებებზე. ხელისუფლება თვლის, რომ ისინი ან ხმაურით ან კვამლის საშუალებით უნდა განდევნონ, ცხოველთა უფლებების დამცველები კი სთავაზობენ, რომ უნდა დაელოდონ, ვიდრე ღამურები თავად არ დატოვებენ იქაურობას.

ცხოველთა უფლებადამცველებმა გაიმარჯვეს და მიუხედავად იმისა, რომ ღამურების გასანადგურებლად თანხა გამოყოფილია, ქალაქი კვლავ მათ ალყაში რჩება.

### 9. ბაყაყები, ოკონტო, აშშ

ცხოველების ერთ-ერთი ყველაზე საშინელი თავდასხმა 1952 წელს მოხდა პატარა ქალაქ ოკონტოზე, რომელიც ვისკონსინის შტატში მდებარეობს. მაშინ 175 მილიონმა ლეოპარდისმაგვარმა ბაყაყმა ტერორში ჩააგდო ქალაქის მოსახლეობა.

ბაყაყების თავდასხმა ოკონტოს მიმდებარე რეიონებში მაღალი ტენიანობით იყო გამოწვეული, რადგან წვიმების გამო წყლის დონემ ძალიან იმატა. ზაფხულში, როცა მიწა შედარებით გაშრა, ბაყაყებმა ქალაქის დატოვება დაიწყეს და ის ნელნელა დაუბრუნდა ჩვეულ ყოფას.



საინტერესოა, რომ სწორედ ბაყაყის ეს ჯიში გამოიყენება ამერიკის სკოლებში ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე.
მოამზადა

მოამზადა
**ბელა გველესიანმა**
568 90 81 22

**სახალხო მკურნალი**
**(მცენარეული პანაცეა)**



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63

**საერთო გაზეთი**
**მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა**

ISSN 2233-3983

9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com